საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 მაისი, 2015 წელი.

№96 (7741)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

26 მაისი – 2011 წ.

რასაც დრო ვერ კურნავს

ესეც არ აკმარეს. ახლა მხუთავი გაზი მოიშველიეს, მომწამვლელი ბოლქვები სოკოებივით აიზიდა ჰაერში. შმაგის ჯერ თვალთ დაუბნელდა, მერე თითქოს ცეცხლი ჩაეღვარა ფილტვებში. ამასობაში ხელკეტიც უთავაზეს. მუხლი მოეკვეთა. ანიაღვრებულ ასფალტზე დაცემულს ჯალათები ახლა სქელი ლანჩებით თელავდნენ.

იმ ღამით, ღრუბელი რომ გაიკრიფა, ლაჟვარდოვან ცის მემორიალზე მამულისთვის წამებული გმირთა ახალი სახელები ვარსკვლავებად აინთო. მერე კი, როგორც პოეტი არჩილ სულაკაური იტყოდა, „ქართველები ზეიმობდნენ ქართველებზე გამარჯვებას“...

იხ. 7 გვ.

26 მაისი – 2015 წ.

ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი

ორი წელია, განსხვავებულად, ყოველგვარი გადამეტებული პომპეზურობის გარეშე აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც ადრე ძლიერთა ამა ქვეყნისათა ზეიმათა და სხვათა დასანახად ტრაბახისა და გულში მჯიღის ცემად აღიქმებოდა. მე თუ მკითხავთ და ბევრიც დამეთანხმება, ბოლო ოცდაექვსმაისობები ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა, ზეიმად, რომელსაც ერი და ბერი ერთად აღნიშნავს. ყოველგვარი ძალდატანებასა და ეტიკეტის ვითომდა დაცვის პრინციპებს მოკლებულად. ღიმილი და სიხარულია დასადგურებული საქართველოს ყველა კუთხეში.

იხ. 2 გვ.

საბანკო სკანდალი

დაკარგული მილიარდის ძებნაში...

4

ქამელეონი

კარლ ბილდტის მრავალფეროვნება

8

ვალში არ უნდა დავრჩეთ

აღზრდასა და საბავშვო ბაღის აღმზრდელებზე

5

3

ცხე შიგნიდან გატყდა...

გაქცევა თუ ახალი ტაქტიკა?

რა ქონებას ფლობენ ყოფილი „ნაციონალები“?..

◎ 26 მაისი თბილისში

ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი

(პირველი გვერდიდან)

აქცენტს მაინც ჩვენს მომავალ თაობაზე ვაკეთებ, რადგან სწორედ მათ უნდა ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ყველა პატარას სურს, სამახსოვრო ფოტო გადაიღოს — ზოგი პოლიციელებთან ამჯობინებს სურათის გადაღებას, ზოგი ჯარისკაცებთან, ზოგიც მსახიობებთან და სპორტსმენებთან, ზოგს, წლეულს პირველად შეპირებული „სამაისო თოვლით“ გუნდობა სურს, უკვირთ თოვლი ამ ჩახჩახა მზის გულზე.

წლევანდელი „მაისობა“ გაალამაზეს ჩვენმა „შავფაროსნებმაც“, მათი გამოსვლა უამრავმა უცხოელმა ტურისტმა აღბეჭდა სამახსოვროდ, ისინი გაოცებულნი შესცქეროდნენ ჩვენს გოგობიჭებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ უძველეს საბრძოლო ხელოვნებას, თავისუფლად იბრძვიან ნებისმიერი იარაღით. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იყო.

სახალხო ზეიმში მონაწილეობდნენ ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებიც, ბევრი მათგანი ოჯახთან ერთად გამოსულიყო დედაქალაქის ქუჩებში, გულდასმით ათვალიერებდნენ მოქალაქეებთან ერთად სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ მოწყობილ სტენდებს. ცისფერი გალერეიდან ფურცელაძის ქუჩის დასაწყისამდე განთავსებული იყო თბილისის მერიის პავილიონები.

დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს ანიმატორებმაც, რომლებმაც თავიანთი ხელოვნება ევროპის ოლიმპიურ ფესტივალს „თბილისი-2015“-ს მიუძღვნეს.

პირველი კლასიკური გიმნაზიის მიმდებარე ტერიტორია კი ყვავილების ფესტივალს მასპინძლობდა, პარალელურად აქვე ბავშვთა ორკესტრის კონცერტი მიმდინარეობდა.

საღამოს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში პრემიერ-მინისტრის სახელით საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელსაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მთავრობის წევრები, ბატონი ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები სტუმრობდნენ. კონცერტი მიეძღვნა ჯანსუღ კახიძის 80 წლის იუბილეს.



ღამით თბილისის ცა ფეიერვერკებმა გაანათეს.

დამოუკიდებლობის დღე ზეიმით აღინიშნა საქართველოს ყველა დიდ ქალაქში.

ავთანდილ გელაური
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ფორუმი

„ჩვენ გვაძლიერებს ყოველი, რაც გვაერთიანებს“

ჭეშმარიტად სადღესასწაულო განწყობა სუფევდა 27 მაისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც, დიასპორის დღეების ფარგლებში, პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“ გაიხსნა.

ქართული დიასპორის დღე ტრადიციულად საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შემდგომ, 27 მაისს აღინიშნება. წლევანდელი ფორუმის მიზანია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის სამშობლოში ჩამოსვლის, კოლეგებთან შეხვედრების გამართვის, პროფესიული გამოცდილების გაზიარების, პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობის მიცემა როგორც კერძო და სამოქალაქო სექტორებში, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტებთან.

გუშინ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, მინისტრთა კაბინეტის წევრთა, უნივერსიტეტისა და საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, უცხოეთში მოღვაწე სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, სასულიერო პირთა, აკადემიური და საქმიანი წრეების, დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენელთა და სტუდენტების თანდასწრებით, ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“ საზეიმოდ გახსნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **გელა დუმბაძემ**. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მან სიტყვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** გადასცა, რომელმაც თავის გამოსვლაში ქვეყნის მომავლისა და სახელმწიფო გაძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებზე, ასევე უდიდეს ეროვნულ საქმეში ქართული დიასპორის როლზე გაამახვილა ყურადღება.

— მივესალმები ფორუმის მონაწილეებს, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ ჩვენს თანამემამულეებსა და მათი სახით ყველას, ვინც ამჟამად საზღვარგარეთის ქვეყნებში ცხოვრობს და მოღვაწეობს. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, — თქვა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა. — ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ერის ცხოვრებაში, საქართველო უნიკალური ქვეყანაა და გამორჩეულად ნიჭიერი ხალხი ვართ, თუმცა კი, ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ. მათ შორის ერთ-ერთი მწვავეა დემოგრაფიული მდგომარეობა: ბოლო სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ამჟამად 3,7 მილიონი კაცი ცხოვრობს, რაც მეტად საგანგაშო მაჩვენებელია. დღესდღეობით უცხოეთში მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, თუმცა კი, მათი ზუსტი რიცხოვნობის დადგენა ძალიან რთულია და, ვარაუდით, მათი რიცხვი, შესაძლოა, ორ მილიონსაც აღწევდეს. ასეთი ვითარება, ცხადია, ერთბაშად არ შექმნილა, ეს ბოლო 25 წლის მანძილზე მომხდარი მოვლენებისა და განვითარებული ნეგატიური პროცესების შედეგია. საქართველოს ხელისუფლება დღენიადაგ შესაბამისი მოტივაციების ძიებაშია, რათა ჩვენს თანამემამულეებს სამშობლოში დაბრუნებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მშობელ მიწა-წყალზე ჰქონდეს. ჩვენთვის თითოეული თანამოქალაქე უძვირფასესია, თითოეული ნიჭისა და უნარის გამოყენების პოტენციალი ნამდვილად გაგვაჩნია, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებულ რესურსებს არაეფექტიანად ვიყენებთ. რამდენიმე თვის წინათ, ჩემი დავალებით, ქვეყნის ყველა მხარის ეკონომიკური პოტენციალი იქნა შესწავლილი — ის უზარმაზარია და რესურსები მაქსიმალურად გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ამ მხრივ მსოფლიოში საუკეთესო გამოცდილება ისრაელს აქვს, რომელმაც აღორძინებულ ქვეყანაში უამრავი თანამოძმის ჩამოყვანა და მათთვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეული პირობების შექმნა შეძლო. ჩვენც მის მაგალითს უნდა მივბაძოთ, რასაც გავაკეთებთ კიდეც, ამდენად ახლო მომავალში დიდი ცვლილებები უნდა მოვახდინოთ, რომელთა განხორციელება ჩვენი დიასპორის მხარდაჭერისა და მისი პოტენციალის გამოყენების გარეშე შეუძლებელია. თანაც ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში წარმატების მისაღწევად ფასდაუდებელია უკლებლივ ყველა ჩვენი თანამემამულის მოღვაწეობა.

ამ მიმართულებით მეტად საგულისხმოა განათლების ფონდის ხაზით წარმართული საქმიანობა: სახელმწიფოს მხარდაჭერით ამჟამად საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში 77 ჩვენი ახალგაზრდა სამაგისტრო პროგრამებით იღებს განათლებას და, დადებული პირობის თანახმად, სამუშაოდ საქართველოში დაბრუნდებიან. ისინი წარჩინებულ სტუდენტთა შორის საუკეთესონი არიან და წელს მათ რიცხვს კიდევ 115 ახალგაზრდა შეუერთდება.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლის შემდეგ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ მას №1 სამახსოვრო მედალი გადასცა, რომლის დევიზია „ჩვენ გვაძლიერებს ყოველი, რაც გვაერთიანებს“

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ასევე ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა, საპატიო დიასპორის წარმომადგენელმა **კახი კალაძემ,** ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა,** საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა **რიჩარდ ნორლანდმა,** საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ **ბორის იაროშევიჩმა,** მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში **ჰენრი კერალმა,** სხვებმა. მოგვიანებით პატივცემულ თავყრილობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეუერთდა, რომელმაც დამსწრენი და დიასპორის ყველა წევრი დალოცა.

პირველი დიასპორული ფორუმის „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“ ოფიციალური გახსნის ცერემონიის შემდეგ მონაწილენი ინტერესთა სფეროების მიხედვით გაიყვნენ, რომლებმაც მსჯელობა რამდენიმე, კერძოდ, ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და ხელოვნების, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მოღვაწეთა, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა, მედიცინის, დიასპორული ორგანიზაციების, დიასპორული ინვესტიციების, ისტორიული დიასპორისა და მედიის ჯგუფებში წარიმართა. მომხსენებელთა გამოსვლების შემდეგ დებატები გაიმართა, რომლებშიც გამომსვლელებმა კონკრეტულ სფეროებში არსებულ გამწვევებზე, ეფექტიანი თანამშრომლობის გზებსა და მრავალ სხვა საჭირბოროტო საკითხზე ილაპარაკეს. ერთობლივი განხილვების მიზანი წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება გახლდათ, რასაც მომავალში აუცილებლად რეალური შედეგები უნდა მოყვეს.

ქართული დიასპორის დღეების ფარგლებში, რომლებიც 29 მაისამდე გასტანს, ასევე დაგეგმილია მრავალი სხვა ღონისძიებაც, მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, კლასიკური მუსიკის კონცერტი, ლიტერატურულ და სტუდენტურ კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა შეხვედრა სტუდენტებთან, საქართველოში განხორციელებული ინოვაციების გასაცნობი ტური და სხვ.

დღეს კი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მიიღებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია

საქართველოში დასაქმება გაზრდილია

მაჩვენებლები პირუთვნელად ადასტურებენ იმას, რომ საქართველოში დასაქმება გაზრდილია, — ასე გამოეხმაურა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომლის თანახმად, 2014 წელს 2013 წელთან შედარებით საქართველოში უმუშევრობის დონე შემცირდა და 12.4% შეადგინა.

ფინანსთა მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ეს პროცესი გაგრძელდება.

„მე მესმის იმ 12.4%-ის პრობლემები, რომელთაც სამსახური არ აქვთ, მაგრამ ყველა პრობლემა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადავჭრათ“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

2014 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2013 წელთან შედარებით 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.4 პროცენტი შეადგინა.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან იტყობინებიან, 2014 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 11 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

გაქცევა თუ ახალი ტაქტიკა?

ცოცხალ შიგნიდან გატყდა...

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთიანობა დაირღვა — ოთხი დეპუტატი იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც დედა-პარტიას გაემიჯნენ. ზურაბ ჯაფარიძე, გოგა ხაჩიძე, პავლე კუბლაშვილი და გიორგი მელაძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას იწყებენ.

„ჩვენთვის არ შეცვლილა ღირებულებები, არც ქვეყანაში არსებული რეალობის აღქმა, არც პოლიტიკური ხედვები და არც პოლიტიკური მოწინააღმდეგე. მეტიც, თანამოაზრეებთან ერთად გაცილებით მეტი შემართებითა და ენერგიით გავაგრძელებთ ბრძოლას იმისთვის, რომ ქვეყანაში დასრულდეს ოლიგარქის მმართველობა, ქვეყანა დაუბრუნდეს განვითარების დემოკრატიულ გზას და ეკონომიკურ წინსვლას.

მიზეზები, რომელთა გამოც გადავდგით ეს ნაბიჯი, გაცილებით სერიოზული მსჯელობის საგანია, ვიდრე ჩვენთან მიმართებაში სრულიად უადგილო განცხადებები „უპასუხისმგებლობასა“ და „წნეხის ვერგაძლებასთან“ დაკავშირებით. — წერს ზურაბ ჯაფარიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

საკითხავია, რამდენად ბოლომდე გახსნიან ისინი ფრჩხილებს და ისაუბრებენ თუ არა მშობლიური პარტიის დატოვების რეალურ მიზეზებზე. ვინ არიან ესენი — ახალი პოლიტიკური ძალა თუ სააკაშვილის სატელიტი პარტია? გვესაუბრება ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე.

— ამ ეტაპზე არსებობს ორი ვერსია — ის, რომ არჩევნებისთვის ემზადებიან და ლიდერები გაიშალნენ, ან მოხდა სერიოზული განხეთქილება და ნაცმოძრაობა გაიხლიჩა. თქვენი შეფასებით, რომელი ვერსია შეიძლება იყოს რეალობასთან მიახლოებული?

— ვფიქრობ, რომ ეს მაინც არის გახლეჩა და არა ლიდერების გაშლა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ ექნებათ ურთიერთობა ან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებიან ერთმანეთს, მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ იქიდან გამოვალთ, რომ პარტიის მიზანი არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვებაა, ისინი კონკურენტი ძალები იქნებიან.

სამი (მეოთხეზე ვერაფერს მოგახსენებთ) ძალიან აქტიური სახის გასვლა პარტიიდან „ნაციონალურ მოძრაობას“ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. მუდამ იყო საუბარი „ნაციონალური მოძრაობის“ მონოლითურობაზე, რაც ნიშნავს ძლიერ ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამ ოთხი ადამიანის წასვლა გამოიწვევს თუ არა რყევებს, ეს საკითხავია, მაგრამ ამომრჩევლისათვის რომ ნაციონალების ერთიანობის ლეგენდა დაიმსხვრა, ეს ფაქტია.

— კულუარული ინფორმაციით ცნობილია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ძალიან ხშირად იყო განხეთქილებები, საქმის გარჩევები და ა.შ. მაგრამ გუნდი დღემდე ისე მოვიდა, რომ საქმე დაშლამდე არ მისულა...

— ვფიქრობ, გარკვეული როლი ამ პროცესში იმანაც შეასრულა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ვერ შეძლეს ისეთი მნიშვნელოვანი გარღვევის მოხდენა, რომ საქართველოს მოსახლეობაში მათ მიმართ დამოკიდებულება უკეთესობისკენ თუ არა, ნეიტრალურობისკენ მაინც შეცვლილიყო.

ვფიქრობ, NDI-ის გამოკითხვები, სადაც პარტიების რეიტინგებზე იყო საუბარი, კვლევის ერთი ნაწილია. მგონია, მათ უფრო დაზუსტებული მონაცემები აქვთ იმის შესახებ, თუ როგორია მათდამი მოსახლეობის დამოკიდებულება.

რყევები და კამათი ყველა პარტიაშია, აზრთა დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როდესაც არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გარკვეული ჯგუფი ტოვებს პარტიას, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ გააანალიზეს ვითარება. რა თქმა უნდა, გამოკითხვის ზუსტი და რეალური მონაცემები არ ვიცი, მაგრამ ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ შეძლო ამომრჩევლის შემოტრიალება, პერსპექტივა რომ აღარ აქვს, ეს დაინახეს და შეეცდებიან სხვა ფორმითა და სხვა პოლიტიკური მესიჯით წარსდგნენ ამომრჩევლის წინაშე.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობაში“ დარჩენილ ნაწილს, ისინი საკმაოდ მძიმე მდგომარეობში აღმოჩნდნენ მონოლითურობის იმიჯის დაკარგვის გამო — ვერც რებრენდინგის განხორციელება მოახერხეს, ვერც ახალი ლიდერების წამოწევა; კვლავ რჩებიან ძველი ლიდერის ამარა, რაც, ვფიქრობ, რომ ამ ქვეყანაში არჩევნები წარმატების მომტანი ნამდვილად არ იქნება მათთვის.

— ვიცით ისიც, რომ მიშას გარეშე „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერია, მაგრამ მიშასთან ერთად — კიდევ უარესი. ამ პრობლემას როგორ მოუვლის ის ჯგუფი, რომელიც ნაცმოძრაობას გამოეყო?

— არ მგონია, ვინმე იყოს „ნაციონალურ მოძრაობაში“, მათი ჩათვლით, ვინც გუნდს გამოეყო, დარწმუნებული არ იყოს, რომ მიხეილ სააკშვილის ლიდერობით დიდ წარმატებას ვერ მიაღწევენ.

მგონია, მიშას რეიტინგსა და მის კავშირებს კი არა, მის ფინანსებს ვერ ელეოდნენ, რომელიც, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელშია მოქცეული — ეს იყო პრობლემა.

თუ ამ ოთხეულმა მოძებნა პარტიული ცხოვრებისთვის საკმარისი ფინანსები (არ ვლაპარაკობ მილიონებსა და მილიარდებზე), ძალან მალე გამოჩნდება. თუ მათ ეს შეძლეს, გამოდის, რომ სწორი ნაბიჯი გადადგეს.

რამდენად ეყოფათ დარჩენილი დრო იმისათვის, რომ არჩევნებში რაღაც ქულები აიღონ, ძნელი სათქმელია. ერთი წლის წინათ რომ გადაედგათ ასეთი ნაბიჯი, თუ ფინანსური მხარე ჰქონდათ, ეს გუნდი შეძლებდა, რომ ბარიერის გადალახვის პრობლემა არ ჰქონოდა.

ბარიერის გადალახვის პრობლემა დღეს შეიძლება, ნაციონალებსაც არ ჰქონდეთ, მაგრამ მეტის „გამქაჩავი“ არ არიან და ეს ნიშნავს, რომ არც მომავალში ექნებათ პერსპექტივა.

ასე რომ, გათვლა ამ ოთხეულისა, თუ ისინი აპირებენ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, სწორია, თუ ფინანსური საყრდენი აქვთ და დრო ეყოფათ პარტიული სტრუქტურის ასაგებად. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მათ უკეთესი შანსები გაუჩნდეთ, ვიდრე სააკაშვილის ლიდერობით დარჩენილ ნაციონალებს.

შეიძლება, განვიხილოთ ვერსია, რომ ეს არის სააკაშვილის ტაქტიკა — მან გაუშვა გუნდი ახალი პარტიის შესაქმნელად და არჩევნების წინ მათ ლიდერად ვიხილავთ? ხოლო ნაციონალურ მოძრაობას შემორჩნენ ის ადამიანები, ვის მიმართაც ეჭვები და კითხვები დღემდე არსებობს? — გვახსოვს, როდესაც სააკაშვილმა ახალაიასთან ნაცნობობაც კი უარყო, როცა ეს დასჭირდა...

— ყველაზე დიდი ეჭვები და კითხვის ნიშნები თავად სააკაშვილისადმია საზოგადოებაში. რომელ გუნდთანაც ის მოხვდება, ზღვაში მოცურავე ადამიანს ლოდს რომ დაჰკიდებ, დაახლოებით ამგვარი ეფექტი აქვს.

ჩემი აზრით, ამ გუნდმა თავიდანვე არასწორი ტაქტიკა აირჩია. სააკაშვილს გარკვეული პერიოდი, თუნდაც ერთი წელი რომ დაესვენა და აქტივობისაგან თავი შეეკავებინა, შესაძლოა, მისდამი დამოკიდებულება შეცვლილიყო. მისი აქტივობა მუდმივი გამაღიზიანებელი ფაქტორი რომ იქნებოდა საზოგადოებისათვის, იმთავითვე ცხადი იყო. იმ ერთწლიან პერიოდში მაინც, როდესაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი იყო, უნდა ეგრძნო, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მის მიმართ იყო ძალზე აგრესიული. ის უნდა გარიდებოდა პოლიტიკურ ასპარეზს და დალოდებოდა დროს, როდესაც მისი თავიდან შემოსვლა იქნებოდა მომგებიანი. მან ეს არ, თუ ვერ გააკეთა — არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მისდამი დამოკიდებულება გაცილებით აგრესიულია დღეს, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ხელისუფლებაში იყო.

— გამოდის, უფრო რეალურია, რომ ამ გუნდმა „ნაციონალური მოძრაობის“ ლაქა ჩამოიცილოს. ასეთ შემთხვევაში უნდა ველოდეთ თუ არა მათ გაერთიანებას რომელიმე სხვა პარტიასთან?

— ვფიქრობ, ეს ასე მარტივად ვერ მოხერხდება. მაინც მგონია, მათ რაღაც მონახაზი ექნებათ, რომ ცალკე ორგანიზაციის ჩამოყალიბება დაიწყონ. შემდეგ რა იქნება — არჩევნების პერიოდში ბლოკში გაერთიანდებიან თუ არა ვინმესთან, ეს სხვა საკითხია, მაგრამ არ მგონია, უახლოესი პერიოდის განმავლობაში ისინი რომელიმე სხვა პარტიას მიეკედლონ.

იმედი მაქვს, რომ ეს ოთხეული არ იქნება მარტო და პარტიის მეორე და მესამე ეშელონებიდან ბევრი წამოყვება — შეეცდებიან, შექმნან ახალი პარტია. ვფიქრობ, მათ ეს სამუშაო ჩატარებული აქვთ და გარანტიებიც აქვთ, რომ ფინანსებს მოძებნიან. ეს ყველაფერი ძალიან მოკლე ხანში გამოჩნდება.

— რაც შეხება ფინანსებს — ვხედავთ, რომ პროდასავლური ძალები საქართველოში საკმაოდ დასუსტებულია. შესაძლებელია, რომ დასავლეთმა ფსონი გააკეთოს ნაციონალების ამ ჯგუფზე და მათი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოს?

— ეს არ არის ის ოთხეული, რომელსაც დასავლეთის პოლიტიკურ წრეებთან დიდი კავშირები ჰქონდათ. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება, ასეთი კავშირები ჰქონდეს, კუბლაშვილია. ჯაფარიძე შედარებით ახალბედა ნაციონალია, ხაჩიძეს არ მგონია, დასავლურ პოლიტიკურ წრეებში დიდი გავლენები ჰქონდეს, მთელი მისი ცხრაწლიანი მოღვაწეობა „ნაციონალურ მოძრაობაში“ გუბერნატორის ჩარჩოს ვერ გაცდა; მელაძე საერთოდ არ ვიცი, როგორი ლიდერი იქნება და რას წარმოადგენს. ამიტომ, შესაძლოა, მათ რაღაც ფინანსები მიიღონ დასავლეთიდან, დახმარება და მხარდაჭერა როგორც პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, მაგრამ, ვფიქრობ, აქცენტი უფრო შიდა რესურსებზე ექნებათ, ვიდრე გარე დაფინანსებაზე.

რაც შეეხება პროდასავლურ ნიშას, ისინი ნამდვილად შეეცდებიან ამ ადგილის დაკავებას.

ლალი ზირაქიშვილი

რა ქონებას ფლობენ ყოფილი „ნაციონალები“?..

პავლე კუბლაშვილის, გიორგი მელაძის, გოგა ხაჩიძის და ზურაბ ჯაფარიძის გადაწყვეტილება, პარტიის რიგებიდან გასვლის შესახებ, ყველასთვის მოულოდნელი გამოდგა. საინტერესოა, რა ქონებით დატოვეს ოპოზიციის ლიდერებმა „ნაციონალური მოძრაობა“. ამისთვის Ambebi.ge მათ ქონებრივ დეკლარაციას გაეცნო.

პავლე კუბლაშვილი

პავლე კუბლაშვილს ქონებრივი დეკლარაცია გასული წლის 4 ივნისს აქვს შევსებული. მის სახელზეა გაფორმებული 160 კვ/მ ფართობის ბინა ყაზბეგის გამზირზე და ავტოფარეხი. როგორც მისი დეკლარაციიდან ირკვევა, მისი მეუღლე თამილა აბუთიძე საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს ფლობს მცხეთის რაიონში, რომლის 50%-ს მფლობელი ვინმე ქეთევან გოგნაძეა. კუბლაშვილების საკუთრებაშია 2008 წელს გამოშვებული ავტომობილი toiota prado, სახელმწიფო ნომრით tns 999. რაც შეეხება კუბლაშვილის სესხებს, მისი დეკლარაციით ირკვევა, რომ 20000 დოლარის საკრედიტო ხელშეკრულება დადებული აქვს „თიბისი ბანკთან“. გრიგოლეთში გაასხვისა მიწის ნაკვეთი, საიდანაც 6000 დოლარის შემოსავალი მიიღო. როგორც მის დეკლარაციაში წერია, წყალტუბოში საცხოვრებელი სახლის ქირავნობაში გადახდილი აქვს 10 000 ლარი. შვილების სწავლაში გადახდილი აქვს 8500 ლარი. რაც შეეხება მის შემოსავალს, პარლამენტარის პოზიციაზე 2013 წელს მისმა ანაზღაურებამ 61961 ლარი შეადგინა.

გოგა ხაჩიძე

გოგა ხაჩიძის დეკლარაცია საკმაოდ ღარიბულად გამოიყურება. ნაციონალური მოძრაობის ყოფილი ლიდერი ნავთლუღში ფლობს საცხოვრებელ ბინას, რომლის ფართი 75 კვადრატული მეტრია. ჰყავს ავტომობილი renault laguna 2002 ნომრით EGE 233. საქართველოს ბანკის საკრედიტო ბარათზე აქვს 6000 ლარი (კრედიტი+), 50000 დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი აქვს აღებული „ბაზის ბანკში“. მისი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ 10 000 ლარი გადახდილი აქვს ქირავნობაში. 2014 წელს დეპუტატის პოზიციაზე მუშაობის სანაცვლოდ მიღებული აქვს 59136 ლარი.

გიორგი მელაძე

გიორგი მელაძის ქონებრივი დეკლარაცია 2014 წლის 22 მაისს არის შევსებული. ჩამონათვალი მრავალფეროვანია, თუმცა, ქონების დიდი ნაწილი მისი მეუღლის მაკა ლაჩაშვილის სახელზეა გაფორმებული. დეპუტატის სახელზეა ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე და კრედიტები ბანკში. მისი მეუღლე კი ფლობს ფართებს ვაჟა-ფშაველაზე, საბურთალოს და აგლაძის ქუჩებზე. მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ ფართს ფლობენ გაზაფხულის ქუჩაზე მათი შვილები, ნიკოლოზ და დემეტრე მელაძეები. გიორგი მელაძეს „თი ბი სი“ ბანკის სახელფასო ბარათზე ერიცხებოდა 2781 (კრედიტი+), საქართველოს ბანკზე კი 558 (კრედიტი+). 200 ლარი (კრედიტი+) „ლიბერთი ბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე. მისი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ პირად საკუთრებაში აქვს 10 000 ლარი. ხელფასის სახით მიღებული აქვს 61961 ლარი. აქედან 9996 ლარს ქირავნობაში იხდიდა, ხოლო 11517 ლარს შვილების სწავლაში.

ზურაბ ჯაფარიძე

ჯაფარიძის ბოლო ქონებრივი დეკლარაცია 2014 წელს არის შევსებული. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ოჯახის საკუთრებაშია ორი საცხოვრებელი სახლი. გაბაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი ზურა ჯაფარიძეს ეკუთვნის, ხოლო წყნეთის გზატკეცილზე მდებარე სახლი — მეუღლეს ნატა ქორიძეს. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ჯაფარიძის მეუღლე სახელმწიფო მოხელეა. კერძოდ, მუშაობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, სადაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსია. გაგიკვირდებათ, მაგრამ ოჯახს საკუთარი ავტომობილიც კი არ ჰყავს. „თი ბი სი“ ბანკის მიმდინარე ანგარიშზე დეკლარაციის შევსების მომენტში, ჯაფარიძეს 1753.00 ლარი (კრედიტი+) ერიცხებოდა, ხოლო ანაბარზე — 21622 დოლარი (კრედიტი+). დეპუტატის პოზიციაზე მუშაობის სანაცვლოდ 2013 წელს ზურაბ ჯაფარიძემ ხელფასის სახით 60285 ლარი მიიღო.

თამარ გოჭორიშვილი

P. S. ეს დეკლარაციების მიხედვით. საინტერესოა, რა არ ჩანს ამ დეკლარაციებში?!

◎ საბანკო სკანდალი

დაკარგული მილიარდის ძებნაში...

ხაზინის ქურდობა თანამედროვეობის ნოუ-ჰაუ რომ არ არის, ყველას კარგად მოეხსენება. ხელმწიფეთა უსინდისო ხაზინადარები ყველა დროსა და მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში იყვნენ და მათ არანაირი, რაგინდ მკაცრი სასჯელის მიღების შიში ვერ აჩერებდათ. ეს შიში, როგორც სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს, არც ახლაა ის ზღუდე, რომლის წინაშე გონიერმა, თუნდაც თაღლითმა მოხელემ უკან უნდა დაიხიოს, მაგრამ ბოლო დროს მოლდოვაში მომხდარი სკანდალი ამ მხრივ მაინც უპრეცედენტოა.

ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული სკანდალი სახაზინო ქურდობასთან დაკავშირებით, შარშან, წლის მიწურულს მოლდოვაში აგორდა: რამდენიმე დღეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდზე მეტი დოლარი „დაიკარგა“. ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ საბანკო თაღლითობის შედეგები საფრთხეს უქმნის როგორც ეროვნულ ეკონომიკას, ასევე მისი პროდასავლური ორიენტაციის პოზიციებს.

ეს ამბავი ნოემბერში მოხდა, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. საეჭვო სესხები მოლდავეთის სამმა ყველაზე დიდმა საფინანსო დაწესებულებამ —„ბანკა დე ეკონომიი“, „ბანქა სოციალამ“ და „იუნიბანკმა“ გასცეს, რაც ქვეყნის ეროვნული ბანკის ინსპექციამ აღმოაჩინა. ამის შედეგად ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ამ სამი ბანკისთვის, სასწრაფო დახმარების აღმოჩენის მიზნით, 16 მილიარდი მოლდოვური ლეი, ანუ 870 მილიონი დოლარი ჩაერიცხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოლდოვის საფინანსო სისტემა ჩამოქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, ძალიან დიდი ალბათობით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს სამი ბანკი ეროვნული ბანკისგან მიღებული ამ სესხის უკან დაბრუნებას ვერასდროს ვერ შეძლებს, ეს კი, ავტომატურად, იმას ნიშნავს, რომ მავანთა მცდელობით აკიდებული ვალი სახელმწიფო დავალიანებად გადაიქცა და, ამდენად, მისი გასტუმრება ისევ რიგით გადასახადის გადამხდელებს, ანუ მოლდოვის მოქალაქეებს მოუწევთ.

მოლდოვა, საქართველოს სიკეთისა არ იყოს, პატარა ქვეყანაა და მისი ეკონომიკაც ბევრი ვერაფერი სიმძლავრით ვერ გამოირჩევა, ამდენად მილიარდდოლარიანი ახალი ვალის წამოკიდება მთავრობისთვის სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის. მისი მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 6,2 მილიარდი დოლარს შეადგენს, შესაბამისად მომხდარი ლამის ეკონომიკურ კატასტროფად აღიქმება.

ცოტა ხნის წინათ მოლდოველ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზით, წლეულს ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით 1,8 პროცენტით შემცირდება, თუმცა კი წინა წლებში საკმაოდ საგრძნობი ზრდა აღინიშნებოდა: შარშან მატებამ 4,6 პროცენტი შეადგინა, 2013 წელს კი სულაც 9 პროცენტი იყო!

ბიუჯეტის შეკვეცა მარტო აგორებული საბანკო სკანდალის მიზეზით არ მომხდარა, არასახარბიელო მდგომარეობა მანამდეც აღინიშნებოდა. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ მოლდოვა რუსეთისა და უკრაინის დარად, საქართველოს ახლო სამეზობლოს, შავიზღვისპირეთის მიმდებარე ქვეყანაა, ამდენად ამ ქვეყნებში წლის მანძილზე მოსალოდნელი რეცესია ქართული ლარის გამყარებაზე გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას მოახდენს.

როცა ლარის დევალვაციის გამომწვევ მიზეზებზე ვლაპარაკობთ, ექსპერტთა უმრავლესობა მომხდარის გადამწყვეტ მიზეზად საგარეო ფაქტორებს, მათ შორის განსაკუთრებულად რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობათა უკიდურეს დაძაბვას, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებას, რუსეთის მიერ მთელი რიგი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსა და უკრაინისთვის, ასევე მოლდოვისთვისაც ბევრი სახეობის პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებას ასახელებს. მიუხედავად იმისა, რომ ემბარგოს დაწესებას ოფიციალური მოსკოვი თავის მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და საკვების უსაფრთხოებაზე ზრუნვით ხსნის, არსებითად, ეჭვგარეშეა, რომ ყველაფერს პოლიტიკური სარჩელი უდევს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებათა გაფორმებას უკავშირდება.

უნდა ითქვას, რომ მოლდოვაში გრანდიოზული საბანკო სკანდალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ეროვნული ვალუტის, ლეის 40-პროცენტიან დევალვაციას მოყვა. შედეგად, ექსპერტთა აზრით, ბანკები სესხების გაცემის პროცესს, ხოლო ფინანსური სტრუქტურები ფისკალურ პოლიტიკას გაამკაცრებენ — მოუმატებენ გადასახადებს და სუბსიდიებს შეამცირებენ, რაც მოგების დონეს გაზრდის და დავალიანებას შეამცირებს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ეს იძულებითი ნაბიჯები უმძიმეს დარტყმებს მიაყენებს ქვეყნის სოციალურად ნაკლებად დაცულ ფენებს. იგივე საფრთხის წინაშე დგას საქართველოს მოსახლეობის ფინანსურად ყველაზე ნაკლებად წელგამართული ფენები.

მოლდოვაში ფინანსური სკანდალის ბევრი დეტალი ჯერჯერობით უცნობია, დანამდვილებით მხოლოდ ის იციან, რომ ბანკებიდან ფული რამდენიმე სესხით გაიტანეს.

დავით აბრამია.

◎ ენერგოტარიფი

ჩვენი შემოდგომის „ელექტროწინილები“

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველაზე დიდი ენერგოკომპანიის „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიაში (სემეკი) შეტანილი განცხადების განხილვის ვადა, რომლითაც იგი ელექტროენეგრგიაზე სამომხმარებლო ტარიფის მომატებას ითხოვს, მხოლოდ 10 სექტემბერს იწურება, ამდენად, მისი დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების საკითხი ჯერაც გაურკვეველია. როგორც ჩანს, ფასის მატების კონტურები სულ უფრო რეალურად იკვეთება, თუმცა ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა აზერბაიჯანის გაზის სახელმწიფო კომპანია „სოკარის“ მიერ ბუნებრივი გაზის ტარიფის გაზრდა, რაც ავტოგაზზე უკვე აისახა კიდეც, ახლა ჯერი ელექტროენერგიაზეც მიდგა. საქმე ის არის, რომ მასზე ტარიფის მომატება თბოსადგურებმაც მოითხოვეს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადობების „მტკვარი ენერგეტიკისა“ და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ხელმძღვანელობების მიერ სემაკში შეტანილი წერილობითი მოთხოვნების საფუძველზე, ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების კორექტორების თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. სემეკის წარმომადგენელთა განცხადებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე კომისიაში წარსადგენ მოსაზრებათა მიღების ბოლო ვადა მიმდინარე წლის 29 მაისია, ხოლო გადაწყვეტილება 10 სექტემბრამდე უნდა გამოიცეს.

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების განცხადებით, სემეკს შესაბამისი განცხადებით ჯერ კიდევ 2015 წლის აპრილში ენერგოკომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიამაც“ მიმართა. ამ მხრივ მეორე უდიდეს ენერგოკომპანია „თელასს“ საკუთარი პოზიცია საჯაროდ ჯერჯერობით არ გამოუხატავს, თუმცა კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას პრინციპულად განსხვავებული პოზიცია ეკავოს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ენერგოკომპანიების ფრონტი მონოლითური იქნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული კომენტარისგან, ჩვეულებისამებრ, თავს იკავებს ენერგეტიკის მინისტრი **კახა კალაძე,** რაც, იმის გათვალისწინებით, რომ ტარიფების საკითხს მისდამი დაუქვემდებარებელი უწყება იღებს, სავსებით გასაგებია. კონკრეტულად კი იგი აცხადებს, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის კორექტირების საკითხი საბოლოოდ სექტემბერში გაირკვევა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტარიფი გაიზრდება, მის დღევანდელსა და მომავალ სიდიდეს შორის განსხვავებას სუბსიდირების თაობაზე გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს.

სემეკის მიერ ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით არსებითი განხილვის საგანი ისაა, რომ მან უნდა დაადგინოს, თუ **რამდენად სამართლიანია მისი გაზრდის მოთხოვნა, კონკრეტულად დაიანგარიშოს, თუ რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ელექტროენერგიის მწარმოებლები ლარის დევალვაციის, ასევე ბუნებრივ გაზზე ფასის მომატების შედეგად.** ტარიფის ხელახალი გადათვლაც ამის გათვალისწინებით მოხდება. თუმცა კი, ამ შემთხვევაში კახა კალაძეს საკუთარი, შეიძლება ითქვას, ნამდვილად არაპოპულისტური პოზიცია უკავია:

— ზოგადად თუ ვიტყვი, პირადად მე სუბსიდირების მომხრე არა ვარ. გარკვეულ ეტაპზე ეს ნაბიჯი მიზანშეწონილი იყო, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც ისეთივე მძიმე იქნება, როგორც მოსახლეობისთვისა და კომერციული სუბიექტებისთვის, — აღნიშნა ბატონმა მინისტრმა და დასძინა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, იგი საკუთარ პოზიციას ღიად გამოხატავს და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან რაიმე დაფარულ დაპირისპირებაზე ლაპარაკი არ არის.

მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფის კორექტირების საკითხი, ცხადია, თავად სპეციალისტებსა და ექსპერტებშიც დიდ აჟიოტაჟს იწვევს, ამასთან გამოთქვამენ აზრს, რომ სექტემბრამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და თუ როგორი იქნება ლარის კურსის ცვალებადობა ამ ხნის მანძილზე, ამის დანამდვილებით თქმა ჯერჯერობით არავის შეუძლია, ვინაიდან ეს ბევრ გარეშე ფაქტორზეცაა დამოკიდებული. ამდენად, სავსების შესაძლებელია, რომ ტარიფის დადგენის პროცესში მთავრობა ჩაერიოს.

— მართალია, ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ახლო მომავალში ლარის კურსი დასტაბილურდება, თუმცა კი, გაუგებარია ეს გამყარდება, ნახევარი წლის წინანდელ დონეს მიუახლოვდება თუ სადღეისოდ არსებულ დონეზე დარჩება, — აცხადებს ამასთან დაკავშირებით საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი **რეზო არველაძე.** — სავსებით ცხადია, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფი გაიზრდება, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ შექმნილი სხვაობის სუბსიდირება, მოსახლეობისთვის ტვირთის შესამსუბუქებლად, მთავრობამ იკისროს.

თუ რა როლს ასრულებს თბოსადგურების მიერ ელექტროენერგიის გენერირებაში საქართველოში ბუნებრივი გაზის იმპორტიორი „სოკარის“ მიერ ფასის მომატება, ამას, ალბათ, ბევრი განმარტება არ სჭირდება. კავშირი სავსებით ნათელია — იზრდება საწვავის ფასი, შესაბამისად იზრდება წარმოებული პროდუქციის ღირებულება. წლების განმავლობაში ამ კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობა და ფასის ზრდის პოლიტიკა უცვლელია.ამდენად, სექტემბერში, როგორც ჩანს, მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ანგარიშები ერთიანად გაგვეზრდება და, ყველა შემთხვევაში, ამის გადახდა ასევე მაინც ყველას მოგვიწევს — სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება ეს, რასაც როგორც გადასახადების გადამხდელები გადავიხდით თუ როგორც ინდივიდუალური მომხმარებლები, იურიდიული პირი იქნება ეს თუ ფიზიკური.

ნინო ალექსანდრია

◎ ინფორმაცია

შვეიცარიაში საშუალო ადგილებს ნუ დასარბდებით

„ბოლო დროს საქართველოს საინფორმაციო წყაროებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა შვეიცარია აქტიურად ახდენს მუშახელის მოძიებას

შვეიცარიაში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მიზნით. ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმე იმაშია, რომ შვეიცარიის ფერმერთა კავშირი და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური ახორციელებენ მცირე საპილოტო პროექტს, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შესაძლებელია შვეიცარიაში უკვე მცხოვრები და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების დასაქმება სოფლის მეურნეობის დარგში“, — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში. საელჩოს ცნობით, საქართველოს მოქალაქეებისათვის შვეიცარიაში შესვლისა და იქ ყოფნის რეგულაციები უცვლელი რჩება.

ინტერპრესი

აღზრდასა და საბავშვო ბაღის აღმზრდელებზე

წლების განმავლობაში აღზრდის საკითხებში იმდენი გამოცდილება დამიგროვდა, რომ, ალბათ, მაქვს უფლება აღზრდის პრობლემებზე ვისაუბრო და ჩემი მოკრძალებული რჩევები მივცე მათ, ვისაც ეს ესაჭიროება.

პირველი, რაზეც მკითხველის ყურადღება უნდა გავამახვილო, ეს არის ადამიანთა მიერ ცუდად გაგებული „სიტყვის თავისუფლება". ზოგიერთმა ჩათვალა, რომ ბილწსიტყვაობაც სიტყვის თავისუფლებაა და ისეთი გინებისა და უცენზურო სიტყვების კორიანტელი დააყენა, ყურს არ გაეგონება. იგინებიან ქუჩაში, იგინებიან თეატრში, კინოში, ღამის შოუში, იგინებიან მამაკაცები, ქალები, ახალგაზრდა გოგონები, ხანდაზმული ქალბატონები. ვფიქრობდი, რომ ეს აღზრდის ნაკლია და ვაი-ვაში დაგვიანებულად მეჩვენებოდა, მაგრამ, როდესაც ქალბატონებიდან განსაკუთრებით ხელოვანებმა გამოიჩინეს თავი და პრესაში თუ ფეისბუქზე საკუთარ სახელსა და გვარსაც არ მალავენ, მივხვდი, რომ ეს უკვე მოდაა, სავალალო მოდა.

ამაზრზენია საკუთარი დედის გინება, რასაც ისე ხშირად გვასმენინებენ ახალგაზრდა ყმაწვილები ქუჩაში, გეგონებათ დიდ სასახელო საქმეს აკეთებენ. არასდროს ვიფიქრებდი, რომ სასულიერო პირი შეიგინებოდა ან პოლიტიკოსი ქალბატონი იტყოდა უცენზურო სიტყვებს. ამას წინათ ერთ-ერთმა მათგანმა, თანაც საკმაოდ ჭკუამახვილმა, იუმორნარევი სიტყვებით „შეამკო" ღამის შოუს წამყვანი შალვა რამიშვილი – შენს გადაცემაში „ქოცები" და მთავრობა რომ ვაგინე, რატომ ამოჭერიო. ამ ყველაფრის შემდეგ აღარ მიკვირს ბაღში შვილის წასაყვანად მოსულ დედას რატომ შეაგინა პატარა ბიჭმა (მამაც თან ახლდა) – დილით რომ შემპირდი სათამაშო მანქანის ყიდვას, რატომ არ მომიტანეო. როდესაც გინება მეორედ გაიმეორა, თანაც მთელი ხმით, დედისგან სასჯელად სილა მიიღო. მე, უკან მიმავალმა, დედას მივმართე – რა საინტერესოა, ნეტა ვინ ასწავლა! ეს სილა სწორედ მას ეკუთვნის-მეთქი!

ცნობილი ამბავია, მამები და ბაბუები პატარებს გინებას ასწავლიან და მათ სასაცილოდ ნათქვამზე ხალისობენ. არ გირჩევთ, მეგობრებო, გახსოვდეთ, ეს ჩვევა მათ დიდობაშიც მიჰყვებათ და მერე გვიკვირს, რატომ უხეშობენ ისინი მეუღლეებთან და არამარტო მათთან.

ზემოთ „ქოცები" ვახსენე, არც „ნაცების" (ეს „იდეალური" სახელები მათ ხალხმა შეარქვა) გინება და კვერცხების სროლაა მოსაწონი და მოსათმენი. მაპატიეთ, მაგრამ ამ დროს მეტად უბრალო და უკულტუროები ჩანხართ. მოგეხსენებათ, კვერცხების მსროლელებს „პრიმიტივისტებიც" კი შეიძლება ვუწოდოთ, რომელ მხარეზეც არ უნდა იყვნენ ისინი. როგორც არ უნდა განაწყენდეთ, არსებობს ენა, მეტყველება, რომელიც დაგეხმარებათ სათქმელი პირში უთხრათ და მისი უკეთურება დაუმტკიცოთ მოწინააღმდეგეს, თუ იგი ამას ნამდვილად იმსახურებს. დღეს კი რა ხდება? კვერცხებს ვესვრით ადამიანებს (ბავშვებსაც კი), შენობის მინებს, ფასადებს, სად არის შეგნება, კულტურა, თქვენ ხომ წყალში ჩაუყარეთ უდიდესი შრომა თქვენს აღმზრდელებს საბავშვო ბაღში, მენტორ მასწავლებლებს სკოლაში. განა ამას გასწავლიდნენ!

პროსოციალური ქცევები, ანუ კარგი მანერები საბავშვო ბაღის უმცროს ჯგუფში ისწავლება ბავშვის ბაღში მოსვლისთანავე, ხოლო საშუალო და უფროს ჯგუფში აქ ნასწავლი ჩვევების ჩვეულებად გადაქცევაზე მუშაობს აღმზრდელი. როგორ დაგვიწყებიათ ყველაფერი, ჩემო ძვირფასებო, 40-50 წლის ადამიანებს აღარ გახსოვთ როგორ ესაუბროთ ყვირილის გარეშე, როგორ ეკამათოთ ერთმანეთს, როდესაც თქვენი აზრის უტყუარობაში ცდილობთ დაარწმუნოთ მოსაუბრე. ზოგჯერ ეს დიალოგი ჩხუბით მთავრდება და ჩხუბს, სამწუხაროდ, ზოგჯერ მკვლელობაც მოჰყვება. ჯერ კიდევ როდის თქვა ავადსახსენებელმა შაჰ-აბასმა: ბევრი ქართველი არ არის საშიში, ისინი ერთმანეთს თვითონ დახოცავენ, ერთი ქართველია საშიშიო.

დიახ, ეტყობა ცოტ-ცოტა ყველამ დავაკელით: მშობლებმაც, პედაგოგებმაც, ქუჩამაც და ამიტომაა, რომ დღეს აღზრდის ნაკლზე გვიხდება საუბარი. არადა, როგორ მიესადაგება ამ სიტუაციას ბრძენის ნათქვამი: თუ ბავშვი ადრეული ასაკიდან არ აღზარდე, დიდობაში გინდ მისი კაცობა გიძებნია და გინდ ქარისთვის უნაგირი შეგიდგამსო.

იმისთვის, რომ აღზრდას ვუშველოთ, პრევენციული ზომების მიღებაა საჭირო. პრესამ და ტელევიზიამ სპეციალური სტატიები და გადაცემები უნდა მიუძღვნან ამ საკითხს. რამდენიმე წლის წინათ ტელევიზიის პირველ არხზე არსებობდა გადაცემა „ათი ათასად ზრდილობა". გამოდიოდნენ სპეციალისტები, ცნობილი ადამიანები და საუბრობდნენ აღზრდის საჭირბოროტო საკითხებზე, ქცევის წესებზე ქუჩაში, თავშეყრის ადგილებზე, ბიბლიოთეკაში, სპორტულ მოედნებზე, კლუბებსა და რესტორნებში. იყო მსჯელობა და მკითხველისა თუ მსმენელის გამოხმაურება.

დღეს ასეთი ვითარებაა – ტელევიზია დილით ადრე გვამცნობს უამრავ საშინელებას: ვიღაც უცნობმა ახალგაზრდა მოკლა, გარეწარმა ბავშვი ცხელი უთოთი დაუთოვა, მოხუცი ცოლ-ქმარი აწამეს და წაართვეს თუ რამ გააჩნდათ, უღირსმა ორი პოლიციელი მოკლა და მიიმალა – ინფორმაცია კი რჩება ინფორმაციად. არავითარი განსჯა, არავითარი რისხვა, არა პროტესტი, არადა, თუ გავიხსენებთ „კაკაბეთის ზარებს", ხალხის რისხვამ დიდხანს შეაჩერა ადამიანის გატაცების ფაქტები საქართველოში.

ამ მძიმე საუბრის შემდეგ ერთ უწყინარ თემასაც მინდა შევეხო. პრესაში წავიკითხე, ერთმა უცხოელმა ქართველები გაგვაკრიტიკა, ქუჩაში სპორტული ტანსაცმლით დადიანო და ეს მართლაც ასეა. ბევრმა არ იცის, რომ სპორტული კოსტიუმით წასვლა შეიძლება სპორტდარბაზში, სტადიონზე სავარჯიშოდ, ალბათ, სანადიროდაც, მაგრამ არა ქუჩაში, სამსახურსა თუ სხვა თავშეყრის ადგილას. რადგან ჩაცმას შევეხე, მინდა, ვკითხო დიზაინერებს, როდის მერე გახდა დახეულ-დაფხრეწილი ლამაზი? ახლა ჯინსებთან ერთად დახეული კოლგოტებიც შემოსულა მოდაში, როგორც იტყვიან, „რაღა გვიჭირს". ამ საკითხზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, თორემ ახალგაზრდები, ჩემი შვილიშვილების ჩათვლით, „უგემოვნებას" მიაწერენ ამ ჩემს უწყინარ შენიშვნას.

კიდევ ერთი საკითხი – ერთ-ერთმა უცხოელმა თამადობის ინსტიტუტიც გაგვიკრიტიკა – არადემოკრატიულიაო. აქ კი ვერ დავეთანხმები პატივცემულ სტუმარს. რა იციან უცხოელებმა, რომ თამადობის ინსტიტუტი ქართველების მოგონილი „მეცნიერებაა" და იგი თავისთავში ბევრ სასიკეთო, დადებით ასპექტს შეიცავს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, აგრეთვე, აღზრდის ნაკლია. ხშირად მსმენია, ერთი მოსაუბრე მეორეს ეუბნება „როგორ გეკადრებათ", „რა სისულელეა". ერთიც და მეორეც შეურაცხყოფას აყენებს მოსაუბრეს. „რა სისულელეას" ნაცვლად საჭიროა ვუთხრათ „ეს არ არის სწორი". რაც შეეხება გამოთქმას „როგორ გეკადრებათ", ამით მას ვეუბნებით, რას კადრულობ, ეს კი აზრის გამოხატვის მეტად არასწორი ფორმაა, უნდა უთხრათ „რას ბრძანებთ".

საკითხს, რომელსაც ახლა შევეხები, უწყინარია ზემოთ მოტანილ საკითხებთან შედარებით, მაგრამ ისიც მოითხოვს განსჯას.

ბევრ ადამიანს დიდობაშიც იმ სახელს ეძახიან, რასაც ბავშვობაში მშობლები მიფერებით ეძახდნენ თავიანთ შვილებს. ღიმილის მომგვრელია, როცა 40-50 წლის ქალს ან კაცს კვლავ ეძახიან გივიკოს, ეკუნას, თიკუნას, ლენუკას, ნანუკას, გურამიკოს, თემიკოს, პატიკოს, ლაშიკოს და სხვა. სხვათა შორის, ლაშა „ქვეყნის მანათობელს" ნიშნავს, ამიტომ დაარქვეს „შუქურვარსკვლავად" წოდებულ თამარ მეფის ულამაზეს ვაჟს, გიორგის, ეს მეორე სახელი და, მერწმუნეთ, ამ სახელს არავითარი მოფერებითი სუფიქსი არ სჭირდება.

მინდა რამდენიმე მოკრძალებული რჩევა მივცე ქართველ დედებს, ამის ცოდნა მათ ცხოვრებაში დიდად გამოადგებათ:

მშობელმა აყვანილ ბავშვს აუცილებლად უნდა უთხრას, რომ იგი არ არის მისი ბიოლოგიური დედა და რაც უფრო ადრეულ ასაკში ეტყვის სიმართლეს, მით უფრო უკეთესია, ვინაიდან, არ შეიძლება მშობელს მუდმივად ჰქონდეს სხვათა და სხვათა ტაქტიანი დუმილის იმედი.

ბავშვს არ უნდა დაუმალონ მშობლის გარდაცვალების ამბავი. არ უნდა უთხრან ტყუილი, რომ იგი საზღვარგარეთაა და მალე ჩამოვა. აუცილებლად უნდა უთხრან სიმართლე, რადგან სკოლამდელ ასაკში ბავშვი გაცილებით იოლად ეგუება ტრაგედიას, ვიდრე მოზრდილ ასაკში.

მშობლების განქორწინების შემთხვევაში, დედის აკრძალვის მიუხედავად, აღმზრდელმა მამას უნდა აჩვენოს შვილი, თუ მას არ აქვს ჩამორთმეული მამობის უფლება ლოთობის, ნარკომანობის ან შეურაცხადობის გამო.

ტყუპების გაზრდის დროს მშობელმა უნდა გაითვალისწინოს რომ, ადრეულ ასაკში ტანსაცმლის შტრიხკოდს მნიშვნელობა არ აქვს. ერთნაირი ტანსაცმელი არ არის რეკომენდებული სკოლამდელ ასაკსა და ზემოთ. მშობელმა მათი ტანსაცმელი კარადაში სხვადასხვა თაროზე უნდა დაალაგოს, დაბადების დღეზე სხვადასხვა საჩუქარი უნდა შეუძინოს, სასურველია, საბავშვო ბაღში სხვადასხვა ჯგუფში შეიყვანოს. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ ტყუპებს ჩამოუყალიბდეთ ინდივიდუალობა და არა იდენტურობა.

საკითხი, რომელსაც ახლა შევეხები, არ არის მოქალაქეების გადასაწყვეტი. დააკვირდით ხანდაზმული ადამიანების უმრავლესობას, პირში ერთი კბილი აქვთ, ზოგს – ორი-სამი. მცირე შემოსავალი არ აძლევთ მათ ამ პრობლემის მოგვარების საშუალებას. მინდა ვირწმუნო, რომ ქვეყანამ, რომელმაც C ჰეპატიტის გაქრობა გადაწყვიტა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა მთელ მსოფლიოში, ამ პრობლემასაც მოაგვარებს. სახელმწიფოებზე ხომ იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ როგორ ზრუნავს იგი თავის პატარებზე და რა მდგომარეობაში აქვთ ხანდაზმულებს კბილები.

პატარებს რაც შეეხებათ, მათ საქართველოში ზრუნვა ნამდვილად არ აკლიათ. 1921 წლიდან მოყოლებული არ ყოფილა შემთხვევა საბავშვო ბაღი უფასო ყოფილიყო. I ბაგა-ბაღის პირველი გამგე ნატაშა უნაფქოშვილი იგონებს: ქართული მუნჯი კინოს ვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე (ეს სახელი მას ჩარლი ჩაპლინმა უწოდა), რომელსაც I ბაღში ორი ვაჟი ჰყავდა, მეგობრებთან ერთად კონცერტებს მართავდა და შემოსული თანხით იმ დედებს ეხმარებოდა, რომლებსაც გადასახადის გადახდის საშუალება არ ჰქონდათ. დღეს საქართველოში ბაგა-ბაღები უფასოა, ბაღში პატარებს აქვთ სამჯერადი კვება, შეუფერხებლად მიეწოდებათ ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ტკბილეული, ემსახურებათ ორი აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, ცეკვის მასწავლებელი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეცპედაგოგი, მედიცინის მუშაკი. ამიტომაც არის ბაგა-ბაღები ასე გადატვირთული ბავშვებით. ჯგუფში 35-40 ბავშვია. ამას ემატება სამი მძიმე კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი (ყოველ 10 ბავშვზე 1 გსმ ბავშვი). თუ რა შრომას ეწევა აღმზრდელი, ეს უკვე ცალკე თემაა და მასზე მინდა განსაკუთრებით ვისაუბრო.

პატარები აღმზრდელის დიდ ენერგიას მოითხოვენ, რადგან ისინი სისტემატურ ყურადღებას საჭიროებენ. საკმარისია, ბავშვმა რაიმე დაიშავოს (რაც, სამწუხროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე), რომ აღმზრდელმა აქვე ერთ სიცოცხლე გაათავოს. მათი შრომის ანაზღაურება კი სრულიად არაადეკვატურია მათ შრომასთან. ადრეულ წლებში ბაღის აღმზრდელს მეტი ჰქონდა ხელფასი, ვიდრე სკოლის მასწავლებელს – გათვალისწინებული იყო მისი შრომის სიმძიმე და ის, რომ იგი დღეში 8 ასტრონომიულ საათს მუშაობს და არა აკადემიურს. მინდა, შევეკითხო ქვეყნის მმართველთ, ვისაც 4-5 ათასი ხელფასი და დიდი ბონუსები აქვთ: მათი შრომა აღმზრდელის შრომის საპირწონეა? განა მათი საქმიანობა ქვეყნის „ოქროს ფონდის" აღზრდას გადაწონის? განა არის უფრო შრომატევადი, უფრო რთული, უფრო სასარგებლო და უფრო ჰუმანური შრომა, ვიდრე პატარების აღზრდაა?

დიახ, ეს ის პატარები და აღმზრდელები არიან, რომელთა დანახვაზეც მაქსიმ გორკიმ, როდესაც საქართველოში ცხოვრობდა, აღფრთოვანებით წარმოთქვა: კოჯორში, მდიდრების ყოფილ აგარაკებზე, დიდი ხეების ჩრდილქვეშ, ქართველმა მასწავლებლებმა და ბავშვებმა სპარსული მინიატიურების ლირიკული სილამაზე მომაგონესო. მანვე თქვა: საბავშვო ბაღის გამგე ყოველმხრივ მშვენიერი ქალი უნდა იყოსო.

ვაკმაროთ აღმზრდელებს ის, რომ 1997 წელს სკოლამდელი აღზრდა გამოიყვანეს განათლების სისტემიდან (რომლის პირველი საფეხურიც ის იყო 76 წლის განმავლობაში), 2004 წელს ჩამოერთვათ პედაგოგის სტატუსი, განათლების დამსახურებული მუშაკის წოდება, პერსონალური პენსია, 60 წლის პროფესიონალი დირექტორები გაუშვეს თანამდებობიდან.

მწამს, დადგება დრო და სკოლამდელებს დაუბრუნებენ ჩამორთმეულს. ბოლოს და ბოლოს, აღმზრდელს საბავშვო ბაღის მასწავლებელს უწოდებენ, ხელფასსაც იმდენს მისცემენ, რამდენსაც იმსახურებენ, სათანადოდ დაფასდება ბაგა-ბაღის დირექტორი, რომელსაც უსერიოზულესი საქმე აბარია – 300-400 და მეტი ბავშვის სიცოცხლე, გამოსწორდება სრულიად არასწორი გადაწყვეტილება მუსიკის მასწავლებლების არაგანაკვეთური ანაზღაურების შესახებ (დღეს 4 და 12 ჯგუფში მომუშავე მუსიკის მასწავლებელს ერთნაირი ხელფასი აქვს, ისიც ძალიან მცირე).

გვახსოვდეს! აღმასვლა დაბლიდან იწყება. ოდნავ მეტი ყურადღება და უმალ გაქრება სკოლამდელებში პოპულარული ფრაზა:

„თუ გინდათ კარგი ცხოვრება, ნუ წახვალთ საბავშვო ბაღში".

ნელი კეპულაძე.

თბილისის 170-ე ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ჯერ კიდევ შენარჩუნებული „საპაგიო ნიშნის", ღირსების ორდენის, გოგებაშვილის მედლის, თბილისის მერიის ოქროს მედლის მფლობელი

P. S. ამას წინათ ერთ-ერთ კერძო კლინიკაში მივედი (რომლის მომსახურებით ძალიან კმაყოფილი ვარ), ვიკითხე: კომპიუტერით შევიტყვე, პედაგოგებს გადასახადში შეღავათებს ჰპირდებით-მეთქი. პასუხი ასეთი იყო – ეს მხოლოდ სკოლის მასწავლებლებს ეხებათ, თქვენ საბავშვო ბაღში გიმუშავიათო. არადა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემულ პროგრამას ეწოდება „სკოლამდელი განათლების პროგრამა" (2011 წ.) ილიას უნივერსიტეტის გამოცემულს კი – „სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის" (2012 წ.).

ნ. კ.



პაულო კოელიო

მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

გერმანელმა ფსიქიატრმა ვიქტორ ფრანკმა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში თავისი ყოფნის გამოცდილება აღწერა: „დამამცირებლად დასჯილმა ტუსაღმა თქვა: „ოჰ, რა ბედნიერებაა, რომ ჩვენი ცოლები ვერა გვხედავენ, სირცხვილით დავიხოცებოდითო!“ ამ სიტყვებმა მე ჩემი ცოლის სახე გამახსენეს, და თითქოს ჯოჯოხეთისგან თავი დავიხსენი. წამერთ სიცოცხლის წყურვილი დამიბრუნდა და მივხვდი, რომ ადამიანს სიყვარული აცოცხლებს, და ოდენ სიყვარულშია ადამიანის ხსნა.

და ამ სატანჯველში ყოფნის მიუხედავად, მაინც აღმომაჩნდა უფლის წვდომა-შეცნობის უნარი, აღმოჩენით კი სწორედ იმიტომ აღმომაჩნდა, რომ შევძელი ჩემი საყვარელი ადამიანის სახის წარმოდგენა.

დარაჯმა ყველას გაჩერება გვიბრძანა, მაგრამ მე არ დავემორჩილე, რადგან იმწუთას უკვე ჯოჯოხეთში აღარ ვიყავი. თუმცა, ისიც კი არ ვიცოდი, ცოცხალი იყო ჩემი ცოლი თუ არა – მაგრამ ეს არც არაფერს არ ცვლიდა.

იმისმა სახემამ ღირსებაც დამიბრუნა, გულიც წამომიწია. და მივხვდი: ადამიანს თუნდაც ყველაფერი ჰქონდეს წართმეული, მაინც აქვს იმის ბედნიერება, რომ გაიხსენოს საყვარელი არსების სახე, და ეს გახსენება გადარჩენასთან ჭრის, თავის დახსნის თანაბარღირებულია“.

მოძღვარი უბნობს:

– ამიერიდან – რამდენიმე საუკუნის მთელ სიგრძეზე – კაცობრიობა ბოიკოტს გამოუცხადებს ბრმადმორწმუნეთ.

დედამიწის ენერგია განახლებას საჭიროებს. ახალი იდეები სივრცეებს ითხოვენ, ხოლო ხორცი და სული – გამოწვევებს. მყობადი კარზე გვიკაკუნებს, და სუყველა იდეას, – თვინიერ იმ იდეათა, ცრურწმენებს რომ ემყარებიან, – გამომუღავნების შანსი ეძლევა.

რაც რამ მნიშვნელოვანია, ყველაფერი დარჩება; ყოველივე უსარგებლო უარიყოფა, მაგრამ დაე ყველა ჩვენგანმა ჩვენ-ჩვენს გამარჯვებაზე ვიფიქროთ, რადგან ჩვენ ვინა ვართ, რომ მოყვასის ოცნებანი განვსაჯოთ?

და რათა მტკიცედ გვწამდეს არჩეული გზის სისწორე, სულაც არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ ვიღაც სხვა არასწორ გზას დაადგა. ვინც ასე იქცევა, ის საკუთარ ნაბიჯებს არ ენდობა.

ცხოვრება დიდ ველ ო მ ა რ უ ლ ა თ ა მსგავსია, რომელთა მიზანია ყველას მიერ საკუთარი გ ზ ა-ს ა ვ ა ლ ი ს გავლა.

სტარტზე ყველანი ერთად ვართ. ყველას ზედაფრენა შეგვდგომია და ამხანაგობის გრძნობას შევუმჭიდროებივართ, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ გრძელდება სრბოლა, თავდაპირველი სიხარული ადგილს უთმობს ნაირ-ნაირ და ჭეშმარიტ გამოწვევებს – დაღლილობას, ერთფეროვნებას, საკუთარი ძალის რწმენის უქონლობას. ყველანი კარგად ვამჩნევთ, რომ ზოგ-ზოგნი უარს ამბობენ ამ გამოწვევებზე და მაინც განაგრძობენ პედლების ტრიალს – მაგრამ იმიტომ ხომ არა, რომ შუა შარაგზაზე ვერ გაჩერებულან? ისინი ბევრნი არიან, ახლოში მისდევენ მანქანას, რომელიც თან მიჰყვებათ, გზადაგზა ერთმანეთს გადაელაპარაკებიან ხოლმე და, უბრალოდ, თითქოს რაღაც ბეგარას იხდიან.

ჩვენ, დანარჩენები, ბოლოს და ბოლოს, მოვწყდებით იმათ და ამწუთიდან განწირულნი ვართ იმად, რომ თავად გავართვათ თავი მარტოობას, გზატკეცილის მოულოდნელად მკვეთრ მოსახვევებს, თუ ველოსიპედმა გვიმტყუნა, იმასაც.

და აღრე თუ გვიან საკუთარ თავს ვეკითხებით, აქვს კი რამე აზრი ამ ჩვენს ძალისხმევას?

აქვს, როგორ არა. მთავარია – ფარ-ხმალი არ დაყარო, არ დამარცხდე.

მოძღვარი და მოწაფე არაბეთის უდაბნოს მიუყვებოდნენ. მოძღვარი ყოველ წუთს იყენებდა, რათა მოწაფე რწმენის გზაზე შეეყენებინა.

– ყველა საქმეში ყოვლად უზენაესს უნდა ვერწმუნოთ. ის არცროდის თავის შვილთ არ მიატოვებს.

როს საღამოს პირზე მუხლიდან ქარის ამოსაღებად დაიფერხეს, მოძღვარმა მოწაფეს სთხოვა, ცხენები კლდის ფხას მიაბიო, რომლის სიახლოვესაც ისინი აღმოჩნდნენ. მოწაფეც ის იყო წავიდა დავალების შესასრულებლად, მაგრამ შუა გზაში მოძღვრის სიტყვები წამოაგონდა.

„ეგ ხომ ჩემი რწმენის სიმაგრეს სცდის, – გაიფიქრა მან. – მეც ავდგები და ცხენებს უფლის ანაბარა დავტოვებ“. და ცხენები აღარ მიაბა კლდის ფხას.

დილით ნახეს, რომ ცხენები აღარსად არ იყვნენ.

გულმოსული მოწაფე ეგრევე ეცა თავის მოძღვარს:

– შენ აზრზეც არა ხარ, რა არის ღმერთი, – მწარედ ჩიოდა იგი. – უყარაულე-მეთქი, იმას მივაბარე ცხენები. ისინი კი არა ჩანან!

– ღმერთს უნდოდა იმათი მიხედვა, – მიუგო მოძღვარმა. – მაგრამ კლდის ფხაზე მისაბმელად ი მ ა ს შ ე ნ ი ხელები სჭირდებოდა.

ვინ იცის, იესომ იქნებ გაგზავნა კიდეც ჯოჯოხეთში თავისი მოციქულები სულების გადასარჩენად, – თქვა ჯონმა. – ის კი არა, შენც თუ აღმოჩნდი ჯოჯოხეთში, ჩათვალე, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს.

ამ აზრმა პირდაპირ განაცვიფრა ლოცვადმავალი. ჯონი მეხანძრედ მსახურობს ლოს-ანჯელესში და დღეს დასვენება აქვს.

–რატომ ფიქრობ ეგრე? – ეკითხება ლოცვადმავალი.

– იმიტომ რომ ნამყოფი ვარ ჯოჯოხეთში აქ, ამქვეყნად. ცეცხლწაკიდებულ შენობაში ეგრევე შევსულვარ, მინახავს, რა შავ დღეშიც იყვნენ სასოწარკვეთილი ადამიანები. ცეცხლიდან გამოსვლა უნდოდათ და ვერ გამოდიოდნენ. არ ვიცი, რამდენი გადამირჩენია საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად. მე, ამ უზარმაზარი სამყაროს მხოლოდ ერთ მცირე ნაწილაკს, ბევრჯერ გმირივით მიმოქმედია მართლაცდა ჯოჯოხეთურ ცეცხლში. და უკეთუ მე, სრულ არარაობას, აგრერიგად მოქცევა შემძლებია, წარმოიდგინე, რის ქმნას არ შეიძლებს იესო!

მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი იმისი მოციქული საგანგებოდ „ჩანერგილია“ ჯოჯოხეთში და იქ ცოდვილ სულთა ცხონებით არის დაკავებული.

მოძღვარი უბნობს:

– ბევრ პირველყოფილ ცივილიზაციაში წესად ჰქონდათ ცხედრის დაკრძალვა ჩანასახის პოზით. მიცვალებული იბადება ახალი სიცოცხლისთვის, ამიტომ იგივე პოზა უნდა მივანიჭოთ, რა პოზაშიც იყო, როცა ამ ქვეყანას მოევლინა,– ამბობდნენ მიცვალებულის, უფრო სწორად, გარდაცვალებულის თვისტომნი.

იმ ხალხისთვის გარდასახვის, გარდაცვალების სასწაული ყოფიერების ყოველდღიური ნაწილია, ამიტომაც სიკვდილი მხოლოდ მორიგი გადადგმული ნაბიჯია სოფელ-ქვეყნის გაუთავებელ-ხანგრძლივ გზაზე.

მაგრამ ქვეყნიერება თანდათან კარგავდა სიკვდილზე ამგვარ დამნდობ წარმოდგენას.

მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ რას ვფიქრობთ, რას ვიქმთ, რა გვწამს: აღრე თუ გვიან ყველანი დავიხოცებით. და ბევრად აჯობებს, თუ ისე მოვიქცევით, როგორც იაკის ტომის ინდიელები იქცევიან: ისინი სიკვდილს რჩევისთვის მიმართავენ. მუდმივად ერთსა და იმავეს ეკითხებიან: „თუკი მაინც უნდა მოვკვდე, მითხარი, რა უნდა ვქნა ახლა?“

რამეთუ სიცოცხლეს ვერაფრის გამო ვერა სთხოვ და ვერცრა რჩევას იმისგან ვერ მიიღებ. ხოლო თუ შველა, ხელის აპყრობა გვჭირდება, ყველაფერს ის აჯობებს, რომ შევხედოთ, როგორ წყვეტენ (ან ვერ წყვეტენ) თავიანთ პრობლემებს სხვა ადამიანები.

რამეთუ ჩვენი მფარველი ანგელოზი აუცილებლად გვერდით გვიდგას და ხშირად ჩვენი მოყვასის ენა-პირით გველაპარაკება. მაგრამ ჩვენს კითხვაზე პასუხი მხოლოდ იმწუთას ჩნდება, როცა ყურადღებამოუდუნებელნი სიცოცხლის მოციაგე სასწაულის დაბინდვის საშუალებას არ ვაძლევთ ათასგვარ ყოველდღიურ საზრუნავთა და წუხილთ. ხელს ნუ შევუშლით, დაე, ჩვენმა ანგელოზმა ისე ილაპარაკოს, როგორც მიჩვეულია და მაშინ ილაპარაკოს, როცა ამას საჭიროდ და დროულად მიიჩნევს.

მოძღვარი უბნობს:

– ყოველგვარი რჩევა ცხოვრების თეორიაა, სინამდვილეში კი, როგორც წესი, ყველაფერი სხვაგვარად ხდება.

მავანი მღვდელი ავტობუსით მგზავრობდა რიო-დე-ჟანეიროში, და უცებ ხმა რამ შემოესმა, რომელმაც უბრძანა, ახლავე ფეხმოუცვლელად დაიწყე ქადაგებაო.

პადრემ დაუარება დააპირა:

– არა, აქ უფლის სიტყვის თქმა არ ეგების. ხალხი მასხრად ამიგდებს.

ხმა მაინც თავისაზე იდგა.

– მე მორიდებული და მორცხვი კაცი ვარ. ნუ მთხოვ მაგას, თუ შეიძლება.

ხმა არ წყვეტდა თავის მოთხოვნას.

მაშინ მღვდელს თავისი აღთქმა წამოაგონდა – მორჩილად აღესრულებინა ქრისტეს სუყოველი განზრახვა. წამოდგა სირცხვილისგან სახეწამოჭარხლებული და წმინდა წერილზე აძრახდა. მგზავრები მდუმარედ მისჩერებოდნენ. ის თითოეულს აკვირდებოდა, და ცოტა ვინმე თუ არიდებდა თვალს. მღვდელმა სათქმელი სრულად თქვა, დაამთავრა ქადაგება და ისევ თავის ადგილას დაჯდა.

მან დღესაც არ იცის, რა ამოცანას აღასრულებდა იმ-ჟამად.

მაგრამ დარწმუნებით სრულიად დარწმუნებულია, რომ აღასრულა.

ერთ-ერთი აფრიკული ტომის შამანმა თავისი მოწაფე ტყეში წაიყვანა.

ის კარგა გვარიანად უფროსი კი იყო, მაგრამ ისე ცქვიტად მიაბიჯებდა, რომ მოწაფეს არა მარტო დაწევა უჭირდა, არამედ წამდაუწუმ ბორძიკობდა და ეცემოდა. შავ დღეში ჩავარდნილი მოწაფე სულ თავბედს იწყევლიდა, იგინებოდა, თავის ბედოვლათობას ტყის ბილიკს აბრალებდა, წამოდგებოდა, დამღალატებელ ბილიკს დააფურთხებდა და ისევ აედევნებოდა წინმავალ მოძღვარს.

ცოტა იარეს თუ ბევრი, ბოლოს ერთ საყდარს მიადგნენ, შამანი არც გაჩერებულა, ეგრევე შემობრუნდა და უკან წამოვიდა.

– შენ არცრა ჩემთვის დღეს არ გისწავლებია, – შესჩივლა მოწაფემ, რომელიც ერთხელ კიდევ წაიქცა.

– მე კი გასწავლიდი, მაგრამ, როგორც ჩანს, შენ ვერ ითვისებდი, – მიუგო შამანმა. – მე შენთვის იმის ჩვენებას ვცდილობდი, თუ როგორ უნდა ვექცეოდეთ ჩვენს შეცდომებს.

– როგორ უნდა ვექცეოდეთ?

– ზუსტად ისე, როგორც შენ უნდა მოქცეულიყავი, როცა წაიქცეოდი ხოლმე. იმის მაგივრად, რომ შენი მარცხი ბილიკისთვის დაგებრალებინა და გეფურთხებინა, უწინარესად ის უნდა გეპოვა, რაზეც ფეხი დაგიცდა.

ერთხელ სცეტის მონასტრის წინამძღვარს განდეგილი ეწვია.

–ჩემმა სულიერმა მოძღვარმა არ იცის, სად უნდა წარმგზავნოს, საით წარვმართო კვალი, – უთხრა მან. – რა ვქნა, ხომ არ მიმეტოვებინა და წავსულიყავი იმისგან?

აბატმა არცრა პასუხი არ აღირსა, და, განდეგილი ისევ უდაბნოში დაბრუნდა.

ერთ კვირაში კი კვლავ მივიდა მონასტერში.

–ჩემმა სულიერმა მოძღვარმა არ იცის, სად უნდა წარმგზავნოს, – საით წარვმართო კვალი, – უთხრა მან. – გადავწყვიტე, რომ მივატოვო და წავიდე იმისგან.

– ბრძნულად გადაგიწყვეტია, – მიუგო ნათქვამის პასუხად წინამძღვარმა. – რამეთუ ადამიანი როს შეიგნებს, რომ სული დაუკმაყოფილებელი აქვს, ის არცრა რჩევას აღარ ითხოვს. ის გადაწყვეტილებებს იღებს, რომელი გადაწყვეტილებებიც იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ცხოვრებაში ისევ უწინდელი გზით იაროს.

ლოცვადმავალი მავანმა ახალგაზრდა ქალმა შეაჩერა.

– ერთი რამ ამბავი უნდა გიამბო, – უთხრა მან ლოცვადმავალს. – მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მკურნალობის ნიჭი მქონდა. ოღონდ გამბედაობა არ მყოფნიდა, რომ ეს ჩემი ნიჭი ვინმეზე გამომეცადა, ვიდრე ერთხელ ჩემს ქმარს მარცხენა ფეხმა საშინელი ტკივილი არ დაუწყო, მშველელი კი არავინ იმწუთას არა ჩანდა. რა უნდა მექნა, ავდექი და, ცოტა არ იყოს, სირცხვილეულმა მტკივან ადგილას დავადე ხელი და შევეხვეწე, რომ დაამებულიყო.

კი დავადე ხელი, მაგრამ, ღმერთმანი, არა მჯეროდა, თუ რასმე გავხდებოდი, და უცებ მომესმა, როგორ ლოცულობდა ჩემი ქმარი:„უფალო, ისე ქმენ, რომ ჩემმა ცოლმა შ ე ნ ი ნათლისა და შ ე ნ ი ძალის მოციქულობა შეიძინოს“. ჩემი ხელის სითბომ მტკივანი ადგილი გაუთბო, და ტკივილი შეუჩერდა.

მერე შევეკითხე, ღმერთს ეგრეთი ლოცვით რატომ მიმართე-მეთქი. შენთვის რწმენის სიმტკიცე რომ შემემატებინაო, მიპასუხა.

და ახლა, სწორედ ამ სიტყვების წყალობით, ათასნაირ სენს ვარჩენ.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 89-94

არდასავიწყებელი 2011 წლის 26 მაისი

— რა ხდება, ეს რას ჰგავს, სადაა ხალხი, ბუჩქებში, თუ თბილ სასთუმალს მინებივრებული. გუშინ, იმის წინ ხომ ბევრნი ვიყავით?! — საკუთარი მუხლების ღალატით შეწუხებული შალო, მაინც ყოჩაღად შესკუპდება ბაზალტის ბორდიურზე. შმაგი, ზურა, თენგო, მურადი წინა დღეებში დაბევებულ ადგილებზე ჩამორიგდებიან, ტელევიზიის კიბეების მხარმარცხნივ. შალო თავის ბაზალტის სავარძელზე ირწევა: — კოჭებში სისუსტე არ უნდა შეგატყონ ამ დედაბოზებმა! — მიუშვა თავისი საფირმო. არადა, რამდენიმე საათის შემდეგ თავპირს დაულეწავენ. ნეკნებს ჩაუმტვრევენ, დაასისხლიანებენ. და განა მარტო მას, მაგრამ ეს მერე, ახლა კი...

— დააცა, შე კაცო, დაისვენონ. ლამის მთელი კვირაა აქ ვყრივართ... დღე წნაა... თანაც გადამწყვეტი. — შმაგიმ ცერად ახედა შალოს და ქვის კედელს მიეყუდა.

— მე კი დავიცდი, მაგრამ... ჩვენ საიდან ჩამოვედით, აქაურები კი ჯერ ლოგინში ნებივრობენ. ვერაგი მტერი გვყავს, შინაური და მაინც სასტიკი!

— კაი შენც ერთი, ნუ ათუხთუხდები ხოლმე. — ჩაურაჭვულა ზურამ, მერე ღამენათევ, მოლზე უთავბოლოდ მიყრილ ბიჭებს სიბრალულით გადახედა.

ტელევიზიის ოთხსართულიანი სახლის მინები და ნეონის ნათურების ცივი შუქი თანდათან გაიცრიცა. ამ ტელევიზიას ხალხის ტელევიზია ჰქვია, ხალხის ნაამაგრით იკვებება, მაგრამ მისი ეკრანიდან სიცივე, სიძულვილი და შხამი იღვრება ადამიანების გონის დასაბნელებლად. თუმცა, უბედურების სათავე სხვაგანაა. თითებზე ჩამოსათვლელი ბოროტი მართავს ამ ყველაფერს ზევიდან. ეს ამდენი ხალხიც მათმა სიმუხთლემ შეყარა ამ შენობის წინ, გადაკეტილ ქუჩაში. და განა მარტო დღეს? თვეები, წლებია, რაც ათიათასობით, ასიათასობით გამოდიან, ბობოქრობენ, მაგრამ მზე თითქოს არ ჩქარობს. ცის კიდურიდან ვერცხლის საცეცებით კრებს ღამენათევ ვარსკვლავებს. მერე იქვე მიყრილი ნისლის რაღაც იეროგლიფებს ხატავს, ოღონდ მათი წამკითხავი და გამგები, თუ რა სურს არსთა გამრიგეს, არავინაა.

— რაღაცა, მუხლებში მამტვრევს... — შესჩივლა შალოს ზურამ. — როცა დავდივარ, კიდევ არა მიშავს რა...

— შენც აგერ ჩამოჯექ, კვერცხების გაციების თუ გეშინია, სულ ერთია, აწი მაინც აღარაფერში გარგია!

— ჰაი დედასა! იქ, იპოდრომზე მაინც როგორ დავუთმეთ... არა, ძმაო, წინამძღოლია საჭირო, მაგრამ... — ახლა მურადა აიშალა.

— ერეკლე მეორე ხუთი ათას კაცს ნატრობდა კრწანისში, ჩვენ კი...

— იქნება კი რაიმე საშველი, ბატონო? — შმაგის ვიღაც ტანადი, მოკლედ შეკრეჭილთმიანი ქალი მოდგომოდა გვერდით.

— აბა, მაშ, რისთვის მოვედით აქ, უსაქმურები კი არა ვართ. — გაიღიმა შმაგიმ. — ჩვენც რომ არა, ისინი თავიანთი ავკაცობით თვითონვე ისედაც ითხრიან საკუთარ საფლავებს.

ამასობაში მზემ აიმაღლა. ახლა უკიდეგანო სივრციდან გადმოხედა ქვეყანას. მომიტინგეთა რიცხვმაც იმატა. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ცხარედ კამათობდნენ. შმაგი ერთ ადგილზე ვერ ისვენებს...

— ამბობენ პრეზიდენტი ბათუმშიაო. — ზურა ვიღაცისგან გაგონილ ინფორმაციას ავრცელებს.

— ეგრე არაა ყოველთვის? როცა ქვეყანა, ხალხი ფხიზლდება და ქუჩაში გამოდის, ის თხუნელასავით სოროში მიძვრება. სამაგიეროდ, მისი საცეცები აქ არის. — სიტუაციას აანალიზებს შალვა, ყოფილი მძღოლი, ახალი უკვე პროფესიონალი მომიტინგე.

მოპირდაპირე მხარეს, სადაც მოძრავი ტრიბუნა — ტრალერი დგას, ერთჯერად ქაღალდის ქუდებს არიგებენ, აქაოდა, მომიტინგეები მზემ არ შეაწუხოსო.

— რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს, ბატონო. — ვერ ისვენებს ქალბატონი, ხშირ-ხშირად ახედავს ხოლმე თავის ახალ მეზობელს, თითქოს ნუგეშს ელის მისგან.

— ყველაფერი კარგად იქნება, ქალბატონო!

მოულოდნელად მიკროფონმა გაიჩხაკუნა, თითქოს ავყია ფრინველმა დაიჩხავლა. ახმახმა ახალგაზრდამ ერთი, ორი, სამიო, დაითვალა, მერე ხმამაღლა დაასკვნა, კარგიაო და ტრალერის საშტაბო კაბინაში გაუჩინარდა.

— შალო, რა ხდება თუ იცი?

მაგრამ შალოს შმაგისთვის არ სცალია, ჯიჯგვა, მკვრივი აგებულების, მელიასავით ფრთხილი მურადი აიყოლია და მომიტინგეთა ხან ერთ ჯგუფს აყურადებს, ხან მეორეს.

თითქოს სადღაც რაღაც ხდება. ლოდინს ბოლო ეღება...

— ყურადღება, ყურადღება, მეგობრებო! რამდენიმე წუთში დავიძვრებით! წინ ჩვენ გაგიძღვებით! — ეს ნონაა, ჭადრაკის დედოფალთა დედოფალი, ჯერ კიდევ ციცქნა გოგომ ქარიშხალივით რომ გადაუქროლა ჭადრაკის სამყაროს. ის ახლა სხვა ამპლუაშია, მზადაა, სამშობლოს თავი შესწიროს... ახლა ასეთი სამსახური სჭირდება ლეგენდარული მოჭადრაკის ქვეყანას.

მომიტინგეთა ლაშქარი ატორტმანდა, აგუგუნდა, ადიდებულ მდინარესავით დაიძრა.

მოშუადღევდა. მწიფე ფორთოხლისფერი მზე მწარედ იკბინება. ცის დასავალზე ღრუბლები გროვდება, რაღაც ავისმომასწავებლად იჯაგრა...

ამასობაში მეწინავეებმა გმირთა მოედანი დალაშქრეს და ვარაზის ხევს შეუყვნენ. ლადო თვალს ვერ აცილებს თეთრი გედივით წამომართულ უნივერსიტეტის პირველ კორპუსს, სადაც მისი მრწამსი ჩამოყალიბდა, კაცობის ნიშნით დაიმუხტა. ვაი, რომ მეცნიერების ეს ტაძარიც განსაცდელშია!

— აკი ცოტანი ვართო, აბა, გახედეთ, დიდწვიმიანობისას აბობოქრებულ მდინარესავით არ მოღელავს? — აღტაცებას ვერ იოკებს მურადი, ფეხის წვერებზე დგება და ზემოდან გაჰყურებს ვარაზის ხევს.

— ჯერ სად ხართ, გზად კიდევ ამდენს შემოვიმატებთ! — შმაგის ძველი, პროფესიონალი მომიტინგის, ძმის ხმა ეცნო. თავის გუნდთან ერთად მიდიოდა. შორიახლოდან მიესალმნენ ერთმანეთს.

— ისევ ძველი გვარდია! ახალგაზრდები? ისინი სადღა არიან? — ახლა უკვე მელიქიშვილის ქუჩიდან გამოხედა უნივერსიტეტის ეზოს. იქ ჭაბუკები და ქალიშვილები ირეოდნენ. — ნუთუ ეს ქვეყანა მათი სამშობლოც არ არის?!

— რატომ, ახალგაზრდებიც მრავლად არიან ჩვენთან! აბა, გახედეთ! ისე კი, ყველას ვერ მოსთხოვ სამშობლოსთვის თავგანწირვას... — ვიღაც ქალმა სცადა, უნივერსიტეტის ეზოში თავშეფარებულ ახალგაზრდებს გამოსარჩლებოდა.

შმაგი არ გაეპასუხა უცნობ ქალს. მის ჯანღჩამდგარ სულში სხვა ცეცხლი ბურბურებდა. მზის გავარვარებულმა ბურთმა მარტენის ღუმელებში ჩამწყვდეული ცეცხლი გაახსენა. ეჰ, რა დრო იყო! მისმა კბილა გოგო-ბიჭებმა ზეციდან მზე ჩამოიღეს და ღუმელში შეაგდეს, ქართველების ახალი საგალობელი, ახალი „ვეფხისტყაოსანი“ დაწერეს. დღეს იმ მარტენის ღუმელების ადგილზე ნანგრევები და ქვა-ღორღია დარჩენილი... მოულოდნელად გულმა თავი შეახსენა. ხელი მიაშველა, გამაგრდი, რა დროს ეგააო, კიდევაც უსაყვედურა...

— კი, ბატონო, გამოგვიწვიეს, ჩვენც ვიბრძვით! — თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა ზურა და თან კანფეტს წუწნიდა. — ფეხიც მტკივა, დიაბეტიც მაქვს, მაგრამ მაინც აქ ვარ, სადაც ჩემი ხალხია, სხვანაირად არ შემიძლია!

— რას ვიზამთ, ძმაო, ჩვენს თაობას შუბლზე აწერია თავისი ბედი, ჩვენი სამშობლო ჩვენ უნდა გადავარჩინოთ... ეს ჩვენი ჯვარია და ჩვენც უნდა ვზიდოთ ჩვენი ჯვარი...

— მერედა, ჩვენ არ მოვაშავეთ და მოვაოხრეთ ეგენი? არც კი გამოგვიკითხია, ვინ იყვნენ, რა ჯურისა და სისხლისანი... ოღონდ ის თეთრი მელია მოგვეცილებინა თავიდან... მერე კი რევოლუციაო... ყველაფერი ტყუილია... ბლეფი...

— შეიარაღებული რაზმებიც კი ჰყავდათ და...

სიცხემ იმატა. გრილ ნიავს მონატრებული ხასხასა ბუჩქები გაზონებში განაბულიყვნენ.

— ახლაც თუ საშველი არ დაგვადგა, მეც ავიკრავ აქედან გუდა-ნაბადს. გადავიხვეწები... იქნება ბავშვები მაინც გადავარჩინო... — უკანიდან წამოეწია ვიღაც ქალის წიოკი.

— ამ ათიოდე ნაძირალას როგორ ვერ უნდა მოვუგრიხოთ კისერი! — აუბა მეორემ.

იხ. 9 გვ.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩარაზები

● მაინც მეზარებოდა კახეთის გზატკეცილზე მოსვლა და აწი ელიავაზე, დაშლილებში მოგაკითხავთ.

● აუუუ, რა მაგარი იქნება ეგენიც მარიკა ვერულაშვილივით და კიდევ რამდენიმე ე.წ. ხალხის რჩეულივით რომ „ოცნებაში“ გაიჩითონ! დროზე მოახდინეთ სასაცილო პაპიროსის დეკრიმინალიზაცია.

● ამათ ოცნებაში პორტირება ჯეოსელში პორტირება ჰგონიათ (+5-ლარიანი პაკეტის პონტში).

ისე რამე რო იყოს, დღეს „ნაცებში“ შევიდე და ხვალ „ოცნებაში“ გადავიდე, კომუნალურებზე რამე შეღავათი მექნება?

● დამოუკიდებლობის დღე კარგია, მაგრამ დამოუკიდებლობა ჯობიაო, ნათქვამია.

● ზურაბ ჯაფარიძემ, „ნაცებს“ მეზარბაზნეები აღარ ჰყავთო!

● „ქართული ოცნების“ ლიდერმა გია ვოლსკიმ ნაცებიდან გაქცეულ ოთხ მუშკეტერს საქციელი შეუქო: — „ცოტა არ იყოს მიკვირს, რომ ამდენი ხანი იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები. მოსაზრებაც კი არ ჰქონდათ იმისა, მოეხდინათ რებრენდინგი და გამოყოფილიყვნენ იმ ძალებისგან, რომელთაც დიდი დანაშაული აქვთ ჩადენილიო“ — მიესიყვარულა გზააბნეულ კრავებს ბატონი ვოლსკი.

ჩემი აზრით, ამ მზრუნველი მამის მოფერებით „თავისუფალი დემოკრატებისა“ არ იყოს, ბატონმა ვოლსკიმ ერთგვარი მოწვევაც გაუგზავნა ნაცებს „ქართულ ოცნებაში“, ალბათ ეს ტენდენცია საოცარი ტელეპორტაციისა და ნაცებით „ქართული ოცნების“ უმრავლესობის დაკომპლექტებისა, სულ მეტად მზარდი გახდება, ჩანაფიქრი ნათელია, ეს აშშ-სთან არსებული შეთანხმების შესრულებაა, რომელიც ეტყობა, კულუარებში არსებობდა და ნაციონალების პარლამენტში უმრავლესობით დაბრუნებით უნდა დასრულდეს.

ბატონო ვოლსკი და ბატონო ნორლანდ, ეს ჩანაფიქრი სრული უტოპიაა, ნაციონალების რეანიმაცია შეუძლებელია, ვერც სახელის შეცვლა და ვერც სქესის, ან სხვა სახის პლასტიკური ოპერაცია, მათ ვერ უშველის, სამწუხაროა, რომ, „ოცნების“ ლიდერები ამ „მოლიპულ“ გზას დაადგნენ, თვითონ არ გადაჰყვნენ ამ ნაციონალების რეანიმაციას!

ქართველმა ხალხმა ხმა მისცა ნაციონალების რეჟიმის დასრულებას და არა მათ რებრენდინგსა და პორტირებას „ქართულ ოცნებაში“!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

დაღუპული პოლიციელის უკვდავსაყოფად

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ბორჯომში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელის გიორგი ბერუაშვილის სახელობის ქუჩა, სკვერი და მემორიალი გახსნა. გიორგი ბერუაშვილის სახელი იმ ქუჩას მიენიჭა, სადაც პოლიციელი ცხოვრობდა. სკვერის გახსნაზე სამინისტროს თანამშრომლების გარდა დაღუპული პოლიციელის ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

მემორიალი ვახტანგ გომელაურმა გარდაცვლილი პოლიციელის მცირეწლოვან შვილთან ერთად გახსნა. ხოლო თბილისში მდებარე ბინის გასაღები მინისტრმა გარდაცვლილის მეუღლეს გადასცა.

სკვერის გახსნაზე იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი გიორგი მახარაშვილიც, რომელიც 2015 წლის 23 იანვარს მომხდარი შემთხვევის დროს პატრულირებას გიორგი ბერუაშვილთან ერთად აწარმოებდა. მახარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. რეაბილიტაციის კურსის დასრულების შემდეგ იგი კვლავ პოლიციის რიგებს დაუბრუნდება. ცნობილი გახდა, რომ ბორჯომის შინაგან საქმეთა სამმართველოში გარდაცვლილი ბერუაშვილის მეუღლე დასაქმდა.

ინტერპრესი

◎ ქამელეონი

კარლ ბილდტის მრავალფეროვნება

„ნაცმოძრაობის“ ევროპაში ყველაზე აქტიური მხარდამჭერი კარლ ბილდტი 1991-94 წ.წ. შვედეთის პრემიერ-მინისტრი იყო. 2006-14 წ.წ. ამავე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. გარდა თავისი თანამდებობებისა, იგი საერთაშორისო პოლიტიკაში, ცნობილია ევროკავშირის დესპანის სტატუსით ბალკანეთის კონფლიქტში მედიატორის როლის შესრულებით. სწორედ ამ დროს შეიქმნა მის შესახებ პოლიტიკოსთა არაერთგვაროვანი შეხედულებები, იმ დონემდეც კი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მისი პერსონა „ნონ გრატადაა“ გამოცხადებული. დესპანის ქმედებებით განსაკუთრებით განაწყენებულია ხორვატია, სადაც მან დაკარგა „შუამავლის სინდრომის აუცილებელი ფაქტორი“. ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ ქვეყნის მთავრობა ევროკავშირის შუამავალს კონფლიქტში კოსოვოსადმი მიკერძოებაში ადანაშაულებდა. შვედური პრესა აღნიშნავს, რომ ბილდტი, პირველი ევროპული საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომელიც 2008 წელს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ამ ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ეწვია. ბილდტი ბოლო დროს უკრაინული დემოკრატიის აქტიურ მხარდამჭერადაც გვევლინებოდა. იგი მწვავედ უპირისპირდებოდა რუსეთს.

როგორც შვედური მასმედია ამტკიცებს, ორჯერ ნამინისტრალი პოლიტიკის გარდა ეკონომიკის, კერძოდ, ნავთობის საკითხებითაც იყო დაინტერესებული. პრესამ გაიხსენა ოპოზიციის კრიტიკა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ, როდესაც მას სუდანის კრიზისში მონაწილეობას აბრალებდნენ. კერძოდ, ის იყო შვედური კომპანია „lundin“-ის მმართველი საბჭოს წევრი, რომლის ნავთობისადმი ინტერესებზეც გაცხადებული იყო არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაითის“ საანგარიშო მოხსენებაში სუდანის მოვლენებთან დაკავშირებით 2010 წელს.

რამდენიმე დღის წინათ კი შვედურ საინფორმაციო საშუალებებში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ ექს-პრემიერი 2001 წელს, ბერმუდის კუნძულებზე დარეგისტრირებული რუსული კომპანია „ვოსტოკ ნეფტა ინვესტმენტის“ აქციონერი და მმართველი კაბინეტის წევრი გახდა. შვედმა ჟურნალისტებმა ისიც გაარკვიეს, რომ აღნიშნული კომპანია მართავდა „გაზპრომისა“ და „როსნეფტის“ საზღვარგარეთულ აქტივებს. კომპანიები მაშინაც და დღესაც უაღრესად ახლო ურთიერთობაში არიან რუსეთის სახელისუფლებო ელიტასთან.

რა ინტერესები აქვს ბილდტს საქართველოში?

სხვადასხვა ევროპულ ფორუმებსა თუ კონკრეტულ განცხადებებში, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის პერიოდში, ბილტი გვევლინებოდა ნაციონალური მოძრაობისა და კერძოდ პრეზიდენტ სააკაშვილის აქტიურ მხარდამჭერად. სამშობლოში საქართველოსადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ გარკვეული ეჭვები გააჩინა. ამ თემაზე კი საჯაროდ ბილდტის კრიტიკოსები 2008 წლის, ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ალაპარაკდნენ. საქმე ის იყო, რომ საქართველოში შვედეთის მაშინდელმა ელჩმა, რომელიც ამავე დროს არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა, საგარეო საქმეთა სამინისტროში საკმაოდ უარყოფითი ანგარიში წარადგინა, რაც ბილდტს არ მოეწონა და მალე ელჩი ჩვენი ქვეყნიდან გაიწვიეს. ამის შესახებ ვადაზე ადრე შეცვლილმა შვედმა ჩინოვნიკმა საკუთარი ქვეყნის მასმედიის წარმომადგენლებთან განაცხადა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნის დროს შვედი დიპლომატი ღიად აფიქსირებდა თავის მხურვალე მხარდაჭერას ნაცრეჟიმისა და პირადად მიხეილ სააკაშვილისადმი. იგი არ მოერიდა საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკურ ნორმებს და 2012 წლის არჩევნების წინ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში და გამოვიდა ისე, რომ იყო არა ჩვენი ქვეყნის, არამედ უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის სტუმარი. მაშინდელმა პრეზიდენტმა იმჟამინდელი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საკუთარ მამულში ყვარელში აქეიფა, რაც „რუსთავი-2“-მა ნაცმოძრაობის ევროპული მხარდაჭერის რაკურსით წარმოგვიდგინა. სააკაშვილის სტუმარს არც ოპოზიცია დავიწყებია და პირადად შეხვდა ბიძინა ივანიშვილს და მილიარდერის ადმინისტრაციიდან გამოჟონილი ინფორმაციით, დამოძღვრა კიდევაც იგი, არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ქუჩის დემონსტრაციების უშედეგობის თაობაზე.

თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში 2014 წლამდე (ჩათვლით) ბილდტი აქტიურად უჭერდა მხარს ოფიციალურ დონეზე ჯერ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შემდეგ უკვე ექსპრეზიდენტს, მის საპარლამენტო ჯიბის უმრავლესობასა და შემდგომ სააკაშვილის ნარჩენებს. ბილდტი განსაკუთრებით გააქტიურდა თავისი ფავორიტის დაცვის კუთხით საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ, რაც ოფიციალურ კომენტარებსა და სოციალურ ქსელებში გაკეთებულ განცხადებებში გამოიხატება. ამავდროულად, ექსმინისტრი ყოველ ნაბიჯზე აკრიტიკებს ახალ ხელისუფლებას.

შვედური პრესა დაინტერესდა ექს-მინისტრის საქართველოსადმი, „განსაკუთრებული სიყვარულის“ მიზეზებით და ბევრი საგულისხმო ფაქტი წამოსწია. გაირკვა, რომ გამინისტრებამდე ბილდტი 2004-06 წ.წ. ცნობილი პიარ-კომპანია „Kreb“-ის მართვის დირექტორი იყო. კომპანიის კლიენტთა სიაში იყვნენ მსოფლიო საწარმოები და ორგანიზაციები, ცნობილი მილიარდერები და ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის წევრებიც კი. კომპანიაში ბილდტის საპასუხისმგებლო პოსტზე საქმიანობას ადასტურებს მისი ბრიუსელის შეფი კარლ იზაქსონი. მომსახურეთა რიცხვში იყვნენ სააკაშვილი და მისი გუნდი, მათი შეფობა პირადად კარლ ბილდტმა ითავა, რომელსაც „მაღალისა“ და მისი თანაპარტიელების აშკარა მხარდაჭერა არც შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ მიუტოვებია. ამის გამო გაჩნდა ეჭვი სააკაშვილი-ნაცმოძრაობა-ბილდტის „განსაკუთრებული ურთიერთობების“ უანგარობის თაობაზე.

სააკაშვილი და რუსეთი წარმოუდგენელია

ამგვარი შეხედულებებისა და პოზიციის მქონე პოლიტიკოსის (უკრაინა-რუსეთი, სააკაშვილი და სხვა მრავალი) 12 მაისს რფ პრეზიდენტის ბრძანებით დანიშვნა „რუსულ ნავთობკომპანიის“ მმართველ საბჭოში, გაოცება მოჰყვა არა მხოლოდ ევროპულ, არამედ, შვედ პოლიტიკოსებში. მომხდარის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სააგენტო „როიტერი“, რომელიც ეყრდნობა „რუსული ნავთობის“ მფლობელს მიხაილ ფრიდმანს. ეს უკანასკნელი კი რუსეთში უმდიდრეს ადამიანებს შორის მეორეა. იგი ქვეყნის ყველაზე გავლენიანი მაგნატი და პუტინთან უაღრესად დაახლოებული პირია.

მაგრამ რფ-ში დანიშვნის მეორე დღეს ბილდტის ახალმა დანიშვნამ ყველა გააოცა. 13 მაისს, უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ბრძანებულებით იგი დაინიშნა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს წევრად, რომელსაც სააკაშვილი ხელმძღვანელობს. დანიშვნების შესახებ ბილდტი კომენტარს არ აკეთებს არც უცხოეთში, არც სამშობლოში. დაბნეულნი არიან სააკაშვილის გუნდის წევრებიც. საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ვაშაძე, საქართველოს ექსპრეზიდენტთან დაახლოებული პირი, რომელიც ამჟამად უკრაინაში იმყოფება, ყველანაირ კომენტარს თავს არიდებს.

ქართველი ანალიტიკოსი ხათუნა ლაგაზიძე ბილდტის ამ ორ დანიშვნაში ხედავს ინტერესთა აშკარა კონფლიქტს. საინტერესოა, ამბობს ანალიტიკოსი, რას ფიქრობდა სააკაშვილი, როდესაც ამგვარ გადაწყვეტილებას იღებდა. ამ ყველაფერს როგორ აუხსნიან საერთაშორისო საზოგადოებას ან უკრაინელ ხალხს? ლაგაზიძისათვის უცნობია როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები.

ზაზა ბილიხოძე

დედამიწის ზურგზე

აშშ-ის საგადამხდელო სამმართველომ განაცხადა, რომ ჰაკერებმა 104 ათასი გადასახადის გადამხდელთა პირადი მონაცემები მოიპარეს

ბორტმოქმედებმა მოიპოვეს ინფორმაცია მომხმარებელთა რამდენიმე წლის სადაგადასახადო დეკლარაციების შესახებ და სხვა მონაცემები, რომლებიც აქვს საგადასახადო უწყებას. როდესაც რამდენიმე წლის ინფორმაცია შეაგროვეს, თაღლითებს მიეცათ საშუალება, ჩამოაყალიბონ სიმართლის მსგავსი ყალბი ანგარიშგება. შედეგად სამმართველომ შეიძლება მიიღოს ზარალი 50 მილიონი დოლარის ოდენობით.

ლატვიის ტერიტორიულ წყლებთან რუსული წყალქვეშა ნავი შენიშნეს

ამის შესახებ ლატვიის არმიის „ტვიტერის“ გვერდზე წერია. „27 მაისს შეიარაღებულმა ძალებმა ლატვიის ტერიტორიული წყლებიდან 5 საზღვაო მილის მოშორებით „კილოს“ ტიპის რუსული წყალქვეშა ნავი და ერთი ჰიდროგრაფიული კვლევის გემი GS-66 შენიშნეს“, - წერია ლატვიის არმიის „ტვიტერის“ გვერდზე.

ინციდენტის შესახებ სხვა დეტალები უცნობია. აღნიშნულთან დაკავშირებით რუსულ მხარეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ქაბულის დიპლომატიურ უბანში შეიარაღებულმა პირებმა სასტუმროს შტურმით აღება სცადა

პოლიციამ თავდამსხმელების ლიკვიდაცია მოახდინა. ამის შესახებ, „როიტერის“ ცნობით, ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება. ინციდენტი გუშინ ღამით მოხდა, ოპერაცია ექვსი საათის განმავლობაში გაგრძელდა. შედეგად მშვიდობიანი მოქალაქეები და პოლიციელები არ დაშავებულან.

თავდასხმაზე პასუხისმგებლობა თალიბანმა აიღო. თავდამსხმელების სამიზნეს ჰეეტალის საოჯახო სასტუმრო წარმოადგენდა, რომლითაც ხშირად უცხოელები სარგებლობენ. სასტუმრო ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სალაჰუდინ რაბანის ოჯახის კუთვნილებაა.

პოროშენკომ დაამტკიცა უკრაინის ეროვნული უშიშროების ახალი სტრატეგია: კურსი ევროკავშირზე და ნატოში

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეროვნული უშიშროების სფეროში არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უკრაინის საერთაშორისოდ მიღებული საზღვრის ფარგლებში, უშიშროებისა და თავდაცვის ეფექტიანობის სექტორის შექმნა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის აღმავლობა.

ინდოეთში ძლიერი სიცხის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 1 100-ს გადააჭარბა

„ბიბისის“ ცნობით, ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ტემპერატურამ 50 გრადუსს მიაღწია.

განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ტელენგანისა და ანდჰრა-პრადეშის შტატებში. მთავრობა მოსახლეობას დიდი რაოდენობით წყლის მიღებისა და ჩრდილში ყოფნისკენ მოუწოდებს.

სინოპტიკოსების პროგნოზით, მომდევნო დღეების განმავლობაში მოსალოდნელია ტემპერატურის კლება.

ინდოეთის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, წელს ძლიერი სიცხის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 2010 წლის მონაცემებს გადააჭარბა.

კიოლნში გამნაღმველები მეორე მსოფლიო ომის დროს დატოვებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას გაუვნებელყოფენ

გერმანიის ქალაქ კიოლნში 20 000-ზე მეტი მოქალაქე იძულებულია, საცხოვრებელი სახლი დროებით დატოვოს. „ბიბისის“ ცნობით, ამის მიზეზი მეორე მსოფლიო ომის დროს განთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გაუვნებელყოფაა, რომელიც დღეს იგეგმება. გამნაღმვითი სამუშაოების გამო დღეს კიოლნში სკოლები და საბავშვო ბაღები არ მუშაობს, ასევე მუშაობა შეაჩერა ერთი დღით ზოოპარკმაც. გამნაღმვითი ოპერაციის დროს შეჩერდება სანაოსნო მიმოსვლა და დროებით დაიხურება საჰაერო სივრცეც. ქალაქ კიოლნში ერთი ტონის მოცულობის ბომბი გასულ კვირას მილსადენის მშენებლობის დროს აღმოაჩინეს. ასაფეთქებელი მოწყობილობა სავარაუდოდ ამერიკული წარმოშობისაა და იგი მიწის ზედაპირიდან 5 მეტრის სიღრმეშია განთავსებული. გერმანიაში მსგავსი შემთხვევები ხშირია. ქვეყნის ტერიტორიაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განთავსდა და არ გააქტიურებულა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში და მექსიკაში წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვმა 29 კაცს მიაღწია

ნაწილობრივ დაიტბორა ტეხასის უდიდესი ქალაქი ჰიუსტონი, აეროპორტებში, სადაც შეუძლებელია მიხვიდე დატბორილი მაგისტრალებით, გააუქმეს რამდენიმე ასეული რეისი. ტეხასის გუბერნატორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

არდასავიწყებელი 2011 წლის 26 მაისი

(მეშვიდე გვერდიდან)

— იარაღი და ძალაუფლება მაგათ ხელშია და... მაინც სად გაჩნდნენ და გაიზარდნენ ეს გველის წიწილები! — მესამე ქალის ხმამ ზედ მის ყურთან ჩაიწუილა.

შმაგის უნებურად იმათკენ გაექცა მზერა. სამივე ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ: მაღლები, ტანადები... თვალები მწევრებივით გაედევნენ. ის კი არა, გულმაც რეჩხი უყო, ძარღვებში რაღაცამ თბილად დაუარა.

ადიდებულ მდინარეს დაემგვანა პროსპექტი. ვიწრო ქუჩებიდან ახალ-ახალი შენაკადები ემატებოდა და ემატებოდა, რაც მომიტინგეებს იმედს უმძაფრებდა. იმედს ყოველთვის სჭირდება ახალი ენერგია, რათა არ ჩაქრეს. იმედის გარეშე გამარჯვება არ არსებობს.

ერთგან უგერგილოდ გაჩხერილ ტაქსს გადააწყდნენ. აქ რამ მოგიყვანაო, ვიღაცამ მძღოლს შეუკურთხა. შმაგის სათვალიანი, ქუდქვეშ გამოჩრილი ჭაღარა, ოფლით დაცვარული სახე ეცნო. მისი შვილის პროფესორი! თვალი აარიდა.

— არა მგონია, დედამიწაზე კიდევ იყოს სხვა ქვეყანა, ამდენი დიპლომიანი, ინტელიგენტი ტაქსის მძღოლი რომ ჰყავდეს! — ეტყობა, მურადმაც იცნო პროფესორი.

— საკვირველია, მიშა ამის გარდა, ყველაფრით ამაყობს. ყველაფერში წარმატებულები ვართო. არადა, ამ საქმეში ნამდვილად ვერავინ შეგვედრება! — კვერი დაუკრა შალვამ.

მოულოდნელად ამინდი გაჭირვეულდა, დასავლეთიდან შავი ღრუბლები აიქოჩრა.

— აი, აქ რომ დიდი ჭადარი იდგა და ამ უღმერთოებმა ამოძირკვეს, ხომ გახსოვს, — შეღამებულზე, ჩემი გულის ვარდის სახელი ამოვჭერი მაგის სხეულზე.

— აგიაშვილსა ნიკასო არ ნაყვარება პიკასო; გადაირია პიკასო, რა დავუშავე ნიკასო! — ასათიანი გაიხსენა შმაგიმ.

— აუ, რა დრო იყო, ბიჭო, აქ რომ ლექსები ფრთიანდებოდა, ხიდან ხეზე ფრენდნენ... ერთხელ გალაკტიონს შევესწარი... ამ ჭადართან ნაბიჯები შეანელა, მაგრამ არ შეჩერებულა. მეც მივყევი პოეტთა მეფეს... მერე სატრაბახოდ მქონდა...

— თუ რომელიმე სათაყვანებელი მგოსნის ნახვა მოგინდებოდა, ამ ჭადართან უნდა მოსულიყავი!

არადა, ახლა ის ჭადარიც მოგონებად იქნება, ამოძირკვეს და ამოფესვეს.

თუმცა, ჭადარს ვინღა ჩივის, ქვეყანა, ერია გადასარჩენი!

შმაგის ჯიბეში მობილური ტელეფონი აუჭიკჭიკდა. შვილი ურეკავდა უცხოეთიდან.

— მანდ ეგ რა ხმაურია, მამი?

— მიტინგზე ვართ, შვილო! ისევ ვიბრძვით! სხვა გზა არ დაგვიტოვეს და... მოულოდნელად ტელეფონი გაითიშა.

— რაო, რა გითხრა შვილმა? — დაინტერესდა ზურა.

— რაო და, წინათ ძალით იტაცებდნენ ადამიანებს საქართველოდან, ახლა ნებით ვბარდებით მონებადო... — შმაგი უაზროდ დააჩერდა ტელეფონს.

მომიტინგეები ახლა ტაატით მიიწევდნენ წინ. ჯუჯა ჩრდილები ამჯერად აღმოსავლეთისკენ გრძელდებოდა.

შმაგის მოეჩვენა, თითქოს გახურებული ლავა ამოეკრა ფეხსაცმლის ლანჩას. შეცბა. ასფალტზე თითქოს წითელი ლაქები გაბრწყინდნენ. კავშირგაბმულობის ყოფილ შენობას მიაჩერდა. კედლებს ნატყვიარები შემორჩენია. ეს სისხლი იმ გოგო-ბიჭებისაა, 56-ის 9 მარტს რომ დახოცეს. თუ ისტორია სამყაროს მეხსიერებაა, ჩვენ რაღა გვჭირს, რად დაგვავიწყდა თავგანწირულები?

გვერდში რაღაც გაეხახუნა. ფაშფაშა დედაკაცი სიგარეტებითა და ტკბილეულით სავსე ურიკას მოაგორებდა.

სიგარეტი მოუნდა. ჯიბე მოიჩხრიკა. ოთხად გაკეცილი ქაღალდი მოხვდა თითებში. ახლაღა მოაგონდა, წინა დღით სკოლაში რომ დაიბარეს და შვილიშვილის ჩანაწერი გადასცეს.

„თავისუფალი თემა: იმედი.

ქეთევან ბებო დამსახურებული ექიმი, ყოველ დილით, სათავისოდ დაგულებულ ნაგვის ყუთში საჭმლის ნარჩენებს დაეძებს. მეზობლის სანაგვე ყუთს სხვა „პატრონი“ ჰყავს, ჩამოძონძილი, მშიერი, სხვების ნასუფრალის მომლოდინე. ბაბუა შმაგი კი მარწმუნებს, ჩვენში მათხოვრები სად გაგონილაო. ესაო... ისაო... არადა, ქუჩაში ისე ვერ გაივლი, ხელგამოწვდილი ქალი, კაცი ან ბავშვი არ შემოგხვდეს...“

მაშინ ნაწერი არ წაუკითხავს. დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და მეორე დღეს სკოლაში მივიდა...

— რა ხდება? — ჰკითხა მხრებში აწურულ მასწავლებელს.

იქვე ლოყაღაჟღაჟა მანდატური გაიჯგიმა. — რატომ არ წაიკითხეთ თქვენი ბავშვის წერილი?

— ერთი ეს მითხარით, ჩემმა შვილიშვილმა დააშავა რამე?

— მოსწავლე პოლიტიკაში რომ ჩაერევა... — გაიბერა მანდატური.

— ყმაწვილო, იქნებ ამიხსნათ, რა არის პოლიტიკა ? — შმაგიმ თვალი თვალში გაუყარა მანდატურს.

— მე ყველაფერი ვიცი...

— აი, სოკრატე სხვანაირად ფიქრობდა. — შმაგის ულვაშებში ჩაეცინა.? მასწავლებელი გულწრფელად შეეცოდა.

— ეგ სოკრატე ვიღაა! — წარბები აზიდა მანდატურმა.

აბა, რა უნდა ეპასუხა!

ანაზდად წინანი შედგნენ. პარლამენტთან კედელი აღიმართა. არადა, ბოლო გაჩერებამდე ჯერ გვარიანი გასავლელი ჰქონდათ, რა ხდებაო... შედგნენ, შეტბორდნენ. აი, მდინარეს ზვავი რომ გადაკეტავს, ისე. ეტყობა ლიდერებმა უცაბედი გადაწყვეტილება მიიღეს. აკი სხვას დაპირდნენ? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ცოტა იქით თუ ცოტა აქეთ... მთავარი ბრძოლაა!

აქ ადრეც ბევრჯერ მდგარან. ერთხელ სამი თვე კარვებშიც ათევდნენ. მაშინ ხელისუფლება დედაქალაქიდან გაიძურწა. ალბათ, სადღაც ქეიფობდნენ. იცადეს, ვიდრე ხალხი არ დაიღალა...

— ხალხო და ჯამაათო! — პარლამენტთან დაყუდებულ ტრიბუნასთან ვიღაც თუშურქუდიანი ახმახი მიიჭრა. — მეც მათქმევინეთ, მეც მომისმინეთ... მთიდან ჩამოვედი, სალაღობოდ კი არა, სიმართლის დასაცავად. ცხოვრება ჭირად რომ გვიქციეს, იმის განაჩენის გამოსატანად.

არ დააცალეს. ორი თუ სამი, ისინიც მომიტინგეები, აქეთ-იქიდან შემოეხვივნენ... აქაოდა, ორგანიზატორები ფრთხილობენ, ვინმე დემაგოგი არ შემოგვეპაროსო, რამე ისეთი დაახეთქოსო. მაგრამ ალალი კაცი და დემაგოგი ხომ უნდა გაარჩიოს ვინმემ ერთმანეთისგან.

— ეგენი ახლა არ გვალაპარაკებენ, ხელისუფლებაში რომ მოვლენ, მაშინ რაღა ხეირს დაგვაყრიან! — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა ვიღაცა.

აჩოჩქოლებულ დემონსტრანტებს სახურავზე ამძვრალი ოპერატორი იღებდა, ყველაფერს აფიქსირებდა.

— კარგად გადაიღე, ვინმე არ გამოგრჩეს, ნახოს მიშამ, რამდენი ვართ!

— ჰო, სამალავიდან როცა გამოეტევა!.. — მუშტებს უღერებდნენ სახურავზე მძრომიალე მსტოვრებს.

შმაგი აიღერღა. უმოქმედობას ვერ იტანს. დაბლა-დაბლა მფრინავ წეროების გუნდს გაადევნა მზერა. ცა ლამის დაფარა ღრუბლებმა. ჩამოიქურფა.

— რაღაც არ მომწონს ეს აღერღილი ცა. თუ დაგვცხოოო! — გურული ქალის ხმა იყო.

— ყინვებსა და ქარიშხლებს გავუძლებთ, მაგარი წრთობა მივიღეთ... ნუ გეშინია!.. ანუგეშა შმაგიმ.

— მაშინ სხვა იყო, ძმაო, — შალოც ვერ იყო გუნებაზე. — მაშინ ბევრნი ვიყავით, მთელი ლაშქარი, ახლა კი ხომ ხედავთ, უკვე იპარებიან. ავდარმა დააფრთხო. თუ ასე გაგრძელდა... — მურადიც შემცბარი ჩანდა.

— რაც მოსახდენია, მოხდება! — შმაგი გარინდული მისჩერებოდა პარლამენტის ფასადს, თითქოს პირველად ხედავსო. — აფსუს, რა დიდებული ნაგებობაა და ცხვრის ფარეხად კი აქციეს. ჰაი, დედასა!

ერთბაშად ჩამობნელდა, ქალაქი თითქოს უკუნეთში შთაინთქა. არადა, მზე თავის საბუდარიდან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იქნებოდა.

ის იყო და რაღაც ხმებიც გაისმა. შმაგის სმენა გაუფაციცდა. კანი აებურძგლა, ძარღვებში ჟრჟოლა იგრძნო, როგორც საფრთხის მოახლოებისას ხდება ხოლმე. მწარედ ჩაეცინა. ეს შიშისა როდი იყო. მის ჯიშსა და ჯილაგს შიში არ სჩვევია. ის ხომ უკვე ბებერი ხარია, რომლის გახედვნას დაკვლა სჯობსო.

ავბედით ბურუსში ადამიანები ლანდებივით ირეოდნენ. ლამპიონებიც ძლივს ბჟღუტავდნენ. მერე ელვამ ცეცხლოვანი ბადე გაშალა, სივრცე გაბასრა. ამას ისეთი გრგვინვა მოჰყვა, გეგონებოდათ, ციდან ლოდები ცვივაო. უმალ სატანაც ახარხარდა. ოთხივ მხრიდან მოაწყდნენ, კბილებამდე შეიარაღებული, ნიღბიანები. მომიტინგეებს ეკვეთნენ, იქაურობა ჯოჯოხეთად იქცა.

ახლოს ვიღაცამ დაიკვნესა. შმაგი იქით შეტრიალდა. წაქცეულ ქალს ურტყამდნენ. შმაგი პირველსავე ხელკეტიანს დააცხრა, აიტაცა და ძირს დაანარცხა. მერე მეორეს შეენთო. ამასობაში შალოც წამოეშველა. მას უკვე მაგრად მოხვედროდა. სახე დასისხლიანებოდა. იქვე მურადის ბდღვინვა ისმოდა. ისიც ლომობდა. სხვები სად არიანო, გაიფიქრა და სხვების მისაშველებლად გაიწია. მაგრამ არ დასცალდა. ვიღაცამ უკნიდან მხარში დასცხო ხელკეტი. ახლა მას მოუტრიალდა და ეგრევე ეძგერა...

წვიმამაც იძალა. ციდან ნაკადულები მოჩქეფდა. თითქოს ეს არ ყოფნიდა, სახანძრო მანქანებმაც მიუშვეს წყლის მძლავრი ჭავლი. სატანა და ბუნება ერთად აუმხედრდა თავისუფლებისთვის მებრძოლთ...

ესეც არ აკმარეს. ახლა მხუთავი გაზი მოიშველიეს, მომწამვლელი ბოლქვები სოკოებივით აიზიდა ჰაერში. შმაგის ჯერ თვალთ დაუბნელდა, მერე თითქოს ცეცხლი ჩაეღვარა ფილტვებში. ამასობაში ხელკეტიც უთავაზეს. მუხლი მოეკვეთა. ანიაღვრებულ ასფალტზე დაცემულს ჯალათები ახლა სქელი ლანჩებით თელავდნენ.

იმ ღამით, ღრუბელი რომ გაიკრიფა, ლაჟარდოვან ცის მემორიალზე მამულისთვის წამებული გმირთა ახალი სახელები ვარსკვლავებად აინთო. მერე კი, როგორც პოეტი არჩილ სულაკაური იტყოდა. „ქართველები ზეიმობდნენ ქართველებზე გამარჯვებას“...

* * *

დროის მანქანა არ იცდის. თავისას მიერეკება. წამი წამს მისდევს, წუთი — წუთს. თან ისრის საცეცებით მარადისობის ოკეანიდან მზის სხივები ექაჩება, რომ კიდევ ერთი ახალი დღე დაანთოს დედამიწაზე. აღმოსავლეთი მეწამული ფერით იღებება. ციდან ნელა იკრიფებიან ვარსკვლავები. მალე ალისფერი ბურთი ამოიჭრება და ქალაქიც ახალ სიცოცხლეს იწყებს.

თითქოს წინა, სისხლიანი დღე არც ყოფილიყო. თითქოს ძმას ძმა არ გაეწირა.

მაგრამ არა, აი, მელიქიშვილის ქუჩიდან აჩქარებით მოაბიჯებს ვიღაც შაოსანი მანდილოსანი. მკერდზე თაიგული მიუხუტებია. შემკრთალი უახლოვდება რუსთაველის ძეგლს. წამით გამზირს გახედავს სუსხჩამდგარი თვალებით. მერე მგოსნის კვარცხლბეკთან მიდის, ჩაიმუხლებს, თაიგულს ფრთხილად დებს და პირჯვარს იწერს... ლოცულობს...

ალბათ, იმავე უხილავმა ძალამ, ამჯერად მამადავითის მხრიდან კიდევ რამდენიმე ქალი და კაცი მოიყვანა აქ. ისინიც ხასხასა ყვავილებით მოდიან. იმ ქალბატონის გვერდით უხმოდ დგებიან და ლოცულობენ... მერე თანდათან, თითქმის დაძახილზე, მოჯარდნენ და მომრავლდნენ ათასნი, მრავალნი, უთვალავნი. იდგნენ უხმოდ. და ეს იყო ყველა ხმაურზე მრისხანე, სისხლის ყივილი და სულის კივილი: აბა, ვერ დაგვიმონებთ, რამეთუ თავისუფლება სულს სწყურიაო... მოჯარდნენ იმ ჯიშ-ჯილაგისანნი, მონისუღელშედგმულნი, ბეჩავად სიკვდილს რომ არ შეურიგდნენ.

— შეხედე! — ვიღაცა შეეცადა, მეგობრისთვის რაღაც ეჩურჩულა, მაგრამ გაოცებისგან ენა დაება... უმალ ურიცხვი მზერა ცის შუაგულს მიეჭდო.

საოცრება ხდებოდა, კაცთაგანის თვალს მანამდე ჯერ რომ არ ეხილა: მზეს რუხი ღრუბლები გვირგვინად შემოექობა და ცისარტყელად აებრდღვიალებინა. მნათობს წამით ფერი ეცვალა: აღაჟღაჟდა, ალივლივდა... მერე თითქოს კურცხალი მოწყდა. ცრემლის წვეთი დამსხვილდა და ჩამოგრძელდა. დაბლა რომ დაეშვა, მახვილს დაემსგავსა. ჰაერს ბასრი პირით კვეთდა და ნაპერწკლებს ჰყრიდა...

— ეს ხომ მესიის მახვილია! — გაუბედავად ამოთქვა ვიღაცამ.

— უფალი ჩვენთანაა! — აღმოხდა მეორეს.

მერე ყველა ერთბაშად აბუბუნდა... მალე იმათმა ომახიანმა შეძახილებმა მიდამო აავსო.

გივი ჯახუა

◎ ალიან-ჩალიანი

არქეოლოგებმა უადრესი ხანის მარნისა და ტაძრის ნაშთებს მიაკვლიეს

ეროვნული მუზეუმის უძველესი თბილისის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, დიღომში, თრელიგორების უძველესი ნასახლარის ტერიტორიაზე ჩვ.წ-მდე I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დათარიღებული ქართლის სამეფოს უადრესი ხანის მარნისა და ტაძრის ნაშთებს მიაკვლია. მარნის აღმოჩენამ თრელიგორების ნასახლარის ძნელადმისადგომ თხემზე, მეცნიერებს ავარაუდებინა, რომ მარანი შეიძლებოდა ყოფილიყო სატაძრო კომპლექსის ნაწილი. მათივე ინფორმაციით, ეს ვარაუდი კიდევ უფრო გაამყარა აერო ფოტოებისა და სატელიტური გამოსახულებების შესწავლამ და არქეოლოგების მიერ ჩატარებულმა სადაზვერვო სამუშაოებმა.

ამ პერიოდის მარნის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეღვინეობის განვითარების ისტორიის კვლევისთვის. ქვევრებში დალექილი ნაშთების ლაბორატორიული კვლევა, სავარაუდოდ, მოგვცემს ინფორმაციას, არსებობდა თუ არა გენური უწყვეტობა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ადრეულ ეტაპზე ღვინის დასამზადებლად გამოყენებულ ყურძნის ჯიშებსა და ქვემო ქართლში დადასტურებულ, მსოფლიოში უადრეს, რვაათასწლოვან ყურძნის ჯიშებს შორის. ახალ აღმოჩენას მნიშვნელობა ენიჭება ასევე ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციის ისტორიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისითაც.

ექსპედიციის ხელმძღვანელია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის არქეოლოგიური კოლექციების კურატორი, არქეოლოგი მიხეილ აბრამიშვილი.

ინტერპრესი

◎ ოლიმპიური ცეცხლი

67 მუნიციპალიტეტს შემოივლის

წლეულს 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. მედლებისთვის 50 ქვეყნის 4000-მდე სპორტსმენი იბრძოლებს. ფესტივალი საზეიმოდ 26 ივლისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიხსნება. ამ შეჯიბრებისთვის ოლიმპიური თამაშების მთავარი სიმბოლო – ოლიმპიური ცეცხლი ათენში „პანათინაიკოსის“ სტადიონზე ტრადიციული რიტუალის თანხლებით აენთო. შესრულდა საქართველოს და საბერძნეთის ეროვნული ჰიმნები. შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი ძიუდოში ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს გადაეცა, საღამოს კი ის თვითმფრინავით ბათუმში ჩაიტანეს. „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ახვლედიანმა და სეოკ-ის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა ერთად აანთეს პირველი ჩირაღდანი. აჭარის დედაქალაქში პირველი მეჩირაღდნე გახლდათ სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონი რუსუდან სიხარულიძე. ესტაფეტაში მონაწილეობდა ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი რევაზ ჩელებაძე. ოთხშაბათიდან ჩირაღდანმა სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა და ორი თვის განმავლობაში ოლიმპიური ცეცხლი 700 მეჩირაღდნის მეშვეობით საქართველოს 67 მუნიციპალიტეტს შემოივლის.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

არის ასეთი მწვრთნელი

გია გეგუჩაძე ერთადერთი ქართველი მწვრთნელია, რომელმაც 2004 წელს თბილისის „დინამო“ უეფას თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. ბედის ირონიით, ახალგაზრდა სპეციალისტს იმავე სეზონის მიწურულს ჩვენი ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბის დატოვება მოუხდა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, იყო სხვა გუნდებში მოპოვებული წარმატებებიც და არავის გაჰკვირვებია, ეროვნული ჩემპიონატის მხოლოდ ბრინჯაოს მედლებით დასრულების შემდეგ „თეთრ-ლურჯთა“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ დიღმელთა თავკაცობა კვლავ ამ მოკრძალებულ, მაგრამ კარგი გაგებით ამბიციურ პიროვნებას რომ ანდო.

დაბრუნებაც ასეთი უნდა – დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი, უკვე მეთორმეტედ, დედაქალაქში დარჩა, თანაც სატიტულო დუელში მასპინძლებმა აქამდე არნახული უპირატესობით დააჩოქეს აღნიშნულ სტადიამდე პირველად აღზევებული „სამტრედია“ – 5:0(!). ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართული უთანასწორო ბრძოლის გმირებმა პაპუნაშვილმა და ოვნუმ დუბლი შეასრულეს, სტუმართა რბევას კი წერტილი ჭაბუკმა ვოლკოვმა დაუსვა.

დავძენთ, რომ ამჯერად უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდნენ იმერელთა ლიდერები ხიზანიშვილი, იაშვილი და კვირკველია, ხოლო ქართულ სათასო ფინალს პირველად გაუძღვა გერმანელ მსაჯთა ბრიგადა.

ასე რომ, ჩემპიონთა ლიგაში მალე გორის „დილა“ ითამაშებს, ევროპის ლიგაში კი „ბათუმი“, „ცხინვალი“ და თბილისის „დინამო“ დაიცავენ სამშობლოს სპორტულ ღირსებას.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ღირსეული გამარჯვება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდმა ერთწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი მოიგო. კოტე ტუღუშის შეგირდებმა სუპერლიგის ფინალური მატჩების სერიაში შარშანდელ ტრიუმფატორსა და ქვეყნის თასის ამჟამინდელ მფლობელს თბილისის „დინამოს“ სძლიეს – 3:1.

ღირსეულ მეტოქეთა დუელს ინტრიგა მესამე შეხვედრის შემდეგ დაუბრუნდა, რომელიც დიდიას, შერმანის, ლეჟავასა და ორმოცაძის ძალისხმევით „თეთრ-ლურჯთა“ გამარჯვებით დამთავრდა – 72:71. როგორც აღმოჩნდა, ეს ირაკლი ხოშტარიას ბიჭების შესაძლებლობათა მაქსიმუმი ყოფილა, რაც ლონდარიძის ტრავმამ კიდევ უფრო შეზღუდა.

მართლაც, მეორე დღეს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გამოფიტული მოწინააღმდეგე ცინცაძემ, ჩიკვილაძემ, როგავამ, მეტრეველმა და წივწივაძემ პირველივე ტაიმში ჩააგდეს ნოკდაუნში – 50:25, საბოლოო შედეგი კი 76:62 გახლავთ.

31 მაისს ქართულ საკლუბო სეზონს სუპერთასის გათამაშებით სწორედ ეს გუნდები დახურავენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

საგზურები კარუანას და ნაკამურას ერგოთ

ორ წელიწადს გრძელდებოდა მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს გრან პრის გათამაშება, რომელიც ოთხი ეტაპისგან შედგებოდა. წინა სამი ეტაპი ბაქოში, ტაშკენტსა და თბილისში გაიმართა, ხოლო მეოთხე ეტაპს ხანტი-მანსიისკმა უმასპინძლა. ამჯერადაც შეჯიბრებაში 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის – ბაადურ ჯობავა. სამწუხაროდ, მან ვერც აქ იყოჩაღა: 11 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო, ექვსი პარტია ყაიმით დაასრულა და ოთხ მეტოქეს დანებდა. მე-4 ეტაპის ბოლო ტურში ჩვენებური პიოტრ სვიდლერთან (რუსეთი) დამარცხდა და საბოლოოდ მე-11 ადგილით დაკმაყოფილდა. მე-11 ტურის დანარჩენი პარტიები ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ: სერგეი კარიაკინი (რუსეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) – დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი), ანიშ გირი (ჰოლანდია) – ფაბიანო კარუანა (იტალია), ლენიერ დომინგესი (კუბა) – ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) – მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი).

საბოლოოდ ხანტი-მანსიისკში ადგილები ასე განაწილდა: იაკოვენკო, ნაკამურა, კარუანა – 6.5-6.5,

დომინგესი, გელფანდი – 6-6, სვიდლერი, გრიშჩუკი, გირი, კარიაკინი – 5.5-5.5, ტომაშევსკი – 5, ჯობავა – 4, ვაშიე-ლაგრავი – 3.5 ქულა.

სამი ეტაპის ჯამში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა იტალიელ ფაბიანო კარუანას, რომელმაც 370 ქულას მოუყარა თავი და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 23 ქულით ჩამორჩა ამერიკელი ჰიკარუ ნაკამურა, რომელიც მეორეა. ორივე დიდოსტატმა პრეტენდენტთა ტურნირის საგზურები მოიპოვა. სამი ეტაპის ჯამით მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 310), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი, 282), ბორის გელფანდი (ისრაელი, 255), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 235), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 212), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 210), დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 200), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 177), ანიშ გირი (ჰოლანდია, 170), ლენიერ დომინგესი (კუბა, 170), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 157), ბაადურ ჯობავა (საქართველო, 135), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 125), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი, 125).

ლაშა დიდია

◎ წუმპეში

ფიფას ხელმძღვანელებს ქრთამის სახით 100 მილიონი დოლარის აღებაში აღანაშაულებენ

ციურიხში დაკავებულ ფიფას ექვს ხელმძღვანელს შორის ვიცეპრეზიდენტები ჯეფრი უები და ეუხენიო ფიგეირედო არიან. მათ გარდა, დაკავებულნი არიან კოსტა-რიკის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ედუარდო ლი და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხოსე მარია მარინი.

შვეიცარიის პოლიციის ცნობით, დაკავებულთა შორის ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი არ არის. „როიტერის“ ინფორმაციით, ფიფას ხელმძღვანელებს ქრთამის აღებასა და კორუფციაში ადანაშაულებენ. აშშ-ის საგამოძიებო უწყებების ცნობით, მათ 1990-იანი წლების შემდეგ ლათინურ ამერიკაში ფეხბურთის ჩემპიონატებისთვის 100 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი აიღეს. გამოძიება საუბრობს ასევე 2018 და 2022 წლების ჩემპიონატების ადგილის არჩევის დროს ჩადენილ უკანონო ქმედებებზეც. მომდევნო ორი ჩემპიონატის ჩატარების ადგილად საბოლოოდ რუსეთი და ყატარი შეირჩა. დაკავებულებს ციურიხიდან აშშ-ში გადაიყვანენ.

ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი პირები შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ყოველწლიურ შეხვედრაზე დასასწრებად იყვნენ ჩასულნი.

ხვალ ფიფას პრეზიდენტის არჩევა იგეგმება. კანდიდატებს შორის არიან მოქმედი პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და იორდანიის პრინცი, იორდანიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი ალი ბინ ალ-ჰუსეინი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

კასია დემანკოვა ამერიკას „იპყრობს“

სანამ ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დასავლეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ბალანსის დაჭერას ლამობს და საამისოდ ათასგვარ ხრიკს იგონებს, უმშვენიერესი ბელარუსი მოდელი კასია დემანკოვა ამერიკას იპყრობს და შეერთებულ შტატებში პოპულარობას იხვეჭს.

კასია დემანკოვა ყოფილი მოციგურავეა და მისი უზადო სხეული დიდწილად სწორედ სპორტის დამსახურებაა. ახლა მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ეტაპი დგას და საკმარისია ტანსაცმლის ღილების შესახსნელად ხელები ასწიოს, რომ ფოტოგრაფები უკვე აპარატების ჩხაკუნს იწყებენ – ემანდ რამე არ გამოგვეპაროსო.

კასიას ძირითადი ნავთსაყუდელი, როგორც უკვე ვთქვით, ამერიკის შეერთებული შტატებია, მაგრამ ასეთ ქალს ერთი კონტინენტი აბა რას დააკმაყოფილებს? ბელარუსი მოდელი ევროპასაც ხშირად სტუმრობს და არც იქ იზარებს იმ სხეულის გამომზეურებას, რომელსაც ერთ დროს შეიძლება თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამოშვებული საწმერთული ემოსა, მაგრამ ახლა კია კაი-კაი საცვლებში გამოჭიმული.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ხვედრი

„რეალი“ ანჩელოტის 4 მილიონს გადაუხდის

„რეალი“ აწ უკვე თავის ყოფილ მწვრთნელს, 55 წლის კარლო ანჩელოტის კონტრაქტის პირობების დარღვევისთვის 4 მილიონ ევროს გადაუხდის.

შეგახსენებთ, რომ „სამეფო კლუბმა“ იტალიელ სპეციალისტს ხელშეკრულება ორშაბათს გაუწყვიტა.

ანჩელოტის „მილანი“ ეპატიჟება, თუმცა, როგორც თავად აპენინელმა განაცხადა, მას ერთი წელი დასვენება სურს.

კარლო ანჩელოტი „რეალს“ 2013 წლიდან ავარჯიშებდა. ამ დროის განმავლობაში მან კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა, სუპერთასი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი და ესპანეთის თასი მოიგო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ წარდგინება

აზერბაიჯანელი მაგსად ნური - დასავლური სტილის მწერალი

წიგნის მოყვარულთათვის კარგად ცნობილია ბოლო დროს დამკვიდრებული შესანიშნავი ღონისძიება „თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი“, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა გამომცემლობა ღებულობს მონაწილეობას და ამ დღეს დიდი სიხარულით ელიან. დღესაც „ექსპოჯორჯია“ უამრავი წიგნის მოყვარულს სტუმრობს. გამომცემლობა **„ინტელექტი“** თავისი თავკაცის ბატონ **კახმეგ კუდავას** ხელმძღვანელობით ბევრ სიურპრიზს გვთავაზობს მათ მიერვე გამოცემული შესანიშნავი წიგნებით. სწორედ ფესტივალის გახსნის დღეს საღამოს ხუთის ნახევარზე გაიმართება ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის **მაგსად ნურის** იმირ მამედოვის მიერ შესანიშნავად გადმოქართულებული რომანის **„ქალაქის მერის“** წარდგინება.

წიგნის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ მაგსად ნური გახლავთ თანამედროვე აზერბაიჯანელ პროზაიკოსთა შუათანა თაობის წარმომადგენელი, მეტად განსხვავებული და თავისებური სააზროვნო მასშტაბებითა და სტილით. ბევრი თანამედროვე კრიტიკოსი მის პროზაში დასავლური ლიტერატურის მიმდინარეობას ხედავს, განსაკუთრებით კი ფრანგული თანამედროვე რომანის გავლენას. მწერლის პირველი კრებული „ჩვენს ჯიბრზე“ 2006 წელს გამოვიდა და უმალ შეფასდა როგორც ახალი მოვლენა აზერბაიჯანულ პროზაში. აღსანიშნავია, რომ ნური მრავალი დოკუმენტური ფილმის ავტორია, მისი მოთხრობების მოტივებზე კი რამდენიმე მხატვრული ფილმიცაა გადაღებული. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ქართულ, უკრაინულ, უზბეკურ და სხვა ენებზე. წიგნის ფესტივალზე წარსადგენი რომანი „ქალაქის მერი“ 2011 წელს „ეროვნული წიგნის პრემიის“ ლაურეატი გახდა. მაგსად ნური ცნობილი ჟურნალისტი და აზერბაიჯანული ჟურნალისტიკის ფუძემდებლად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნახევარი საუკუნისთვისაც არ მიუღწევია.

ქართველ მკითხველს შესანიშნავი საჩუქარი მიართვა გამომცემლობა „ინტელექტმა“ და საშუალება მოგვცა კიდევ ერთხელ დავტკბეთ აზერბაიჯანელი შემოქმედის ფსიქოლოგიური ჟანრის რომანით.

მამუკა ვაშაკიძე

◎ პანიკა

რატომ მოგვიბრუნეს ცხვარი იორდანიიდან?

ადრე ქართული ცხვარი ექსპორტზე 12 ქვეყანაში გადიოდა, ახლა კი – მხოლოდ სამ ქვეყანაში გადის.

იორდანიიდან საქართველოში დაბრუნებული ცხვრის გამო ატეხილმა აჟიოტაჟმა ყველას ყურადღება მიიპყრო. რამდენიმე კვირის წინათ საქართველოდან ექსპორტზე დაახლოებით ათი ათასი სული ცხვარი გაიყვანეს. იორდანიაში ქართულ ბიზნესკომპანიას ცხვრების შეყვანის უფლება არ მისცეს და საქონელი საქართველოში, კერძოდ უფლისციხეში დააბრუნეს. ამან ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია: სოფელში შიშობდნენ, რომ ცხვარი დაავადებული იქნებოდა. მოსახლეობის შიში იმ ფაქტმაც გააძლიერა, რომ ათასამდე სული ცხვარი უკვე დაიხოცა, ცოცხლებს კი, გაურკვეველი დაავადების ნიშნები აქვთ.

bpn.ge დაუკავშირდა სურსათის ეროვნულ სააგენტოს, სადაც გვითხრეს, რომ ამ ფაქტის გამო პანიკის საფუძველი არ არსებობს: „სააგენტოს წარმომადგენლები ადგილზე იმყოფებიან და ვითარებას სწავლობენ. წინასწარი მონაცემებით, პათანატომიური გაკვეთის შედეგების მიხედვით, დაცემულ ცხოველებში ინფექციის ნიშნები არ აღინიშნება,“ – აცხადებენ უწყებაში და ვარაუდობენ, რომ ცხვრის დაცემა ხანგრძლივმა ტრანსპორტირებამ, შიმშილმა და არასათანადო პირობებში ყოფნამ გამოიწვია.

ამ მოსაზრებას იზიარებს „საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ბექა გონაშვილი, რომელმაც მომხდარ ფაქტზე და ქართული ცხვრის ექსპორტის პრობლემებზე ისაუბრა.

ბექა გონაშვილი: „მეც ვეთანხმები სურსათის უვნებლობის სააგენტოს და გეტყვით, რატომ: ერთი წუთით წარმოიდგინეთ პირუტყვი, რომელიც ლამის ორი თვის განმავლობაში ღია ზღვაში, გემზე იმყოფება. ჩემი აზრით, მათი მდგომარეობა კვების ბრალია იმიტომ, რომ ღია ზღვაში ცხვარს ისე ვერ გამოკვებავ, როგორც საჭიროა. როგორც ვიცი, ცოფზეც აქვთ ეჭვი, მაგრამ საქართველოში ცხვარს ცოფი არასოდეს ჰქონია. ჩვენთან თურქულიც არ არის,იმიტომ, რომ მთავრობა უფასო ვაქცინაციას ატარებს. ასე რომ, დაავადებები, რომელზეც ეჭვი შეაქვთ, გამორიცხულია. ცხვრების დახოცვა უფრო შიმშილისა და დასუსტების ბრალია. თქვენ რომ იყოთ მთელი ერთი თვე მშიერი და მერე უცებ ვიღაცამ მწვადი გაჭამოთ, შეიძლება თქვენც დაიღუპოთ.“

ბექა გონაშვილის შეფასებით, მსგავსი ისტორიები ქართული ცხვრის იმიჯს ძალიან აზარალებს.

„ეს ყველაფერი ბიზნესოპერატორების დაპირისპირების გამო მოხდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ჩვენ დავზარალდით. ეს ინფორმაცია ორი კვირით ადრე ვიცოდი არაბი კლიენტებისგან, რაც ძალიან ცუდია, იმიტომ, რომ ვინც ამ საქმეშია ჩართული, ყველას აქვს ერთმანეთთან რაღაც კავშირი და ამგვარი ინფორმაციები მათ შორის ძალიან სწრაფად ვრცელდება. მერე კი, ყველა თავს იკავებს ქართული ცხვრის შეძენისა და ექსპორტირებისაგან. ამიტომ, თუ ადრე ქართული ცხვარი 12 ქვეყანაში გადიოდა ექსპორტზე, ახლა მხოლოდ 3 ქვეყანაში გადის –აზერბაიჯანში, ლიბანსა და იორდანიაში. აზერბაიჯანში მხოლოდ ქართული ცხვარი შედის, ხოლო ლიბანსა და იორდანიაში ხშირად სომხური ცხვარი შეჰყავთ, ოღონდ - ქართულის სახელით. ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ცხვარი საქართველოში სომხეთიდან შემოდის და მერე ექსპორტზე აქედან გაჰყავთ, როგორც ქართული. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ აპირებენ ცხვარი რუსეთიდანაც შემოიყვანონ. ნაწილი აქ დაიკვლება, ხოლო ნაწილს რეექსპორტისთვის გამოიყენებენ. აქ თუ დაიკვლება, მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ როცა სხვა ქვეყნებიდან შემოყვანილი ცხვარი საქართველოდან გადის, როგორც ქართული, ჩვენ ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. საქართველოდან არ უნდა გავიდეს საქონელი, რომელიც არ არის ქართული. რატომ? –თუნდაც იმიტომ, რომ იქ, საიდანაც შემოდის, პირუტყვის სრულყოფილი ვეტრინარული შემოწმება ვერ ხერხდება. აქედან გამომდინარე, სურსათის უვნებლობის სააგენტომ აუცილებლად უნდა გაამკაცროს ცხვრის იმპორტისა და ექსპორტის წესები. ჩვენ უკვე არაერთი ბაზარი დავკარგეთ და ეს პროცესი აღარ უნდა გაგრძელდეს“, – აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

ბექა გონაშვილი მიიჩნევს, რომ ექსპორტის საკითხებში „მეცხვარეთა ასოციაციაც“ უნდა ჩაერთოს, რადგან ამ სფეროში სრული განუკითხაობაა, რასაც სავალალო შედეგებამდე მივყავართ.

და მაინც, რა მოხდა? რატომ დააბრუნეს საექსპორტოდ გაყვანილი ცხვარი საქართველოში?

– ამ კითხვაზე ბექა გონაშვილის პასუხი ასეთია: – „ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, რაც მოხდა, ბიზნესოპერატორებს შორის დაპირისპირების ბრალია: არაბულმა კომპანიამ პრობლემები შეუქმნა ქართულს, რომ აქედან წაყვანილი ცხვარი საუდის არაბეთში სარეალიზაციოდ შესულიყო. ამის შემდეგ კომპანია შეეცადა, ცხვარი იორდანიაში შეეყვანა, მაგრამ იქაც არ მიიღეს და იძულებული გახდნენ, უკან დაებრუნებინათ. საუდის არაბეთის ბაზარი ჩვენ 2010 წელს დავკარგეთ, წელს ეს ბაზარი ჩვენთვის დიდი მცდელობის შედეგად გაიხსნა, რაშიც სახელმწიფოც აქტიურად იყო ჩართული, მაგრამ ამ ქვეყანამ ექსპორტიორებს ძალიან რთული მოთხოვნები დაუწესა. სხვათა შორის, მე ეჭვი მეპარება, რომ უკან დაბრუნებული ცხვრის ნაწილი ქართული არ იყო. როგორც ვიცი, სწორედ იმ პერიოდში დაიწყეს სომხეთიდან ცხვრის შემოყვანა, თანაც, ამ პერიოდში ასეთი რაოდენობის ცხვარი ჩვენთან არ არის“.

გონაშვილის აზრით, ქართული ცხვრის ექსპორტს ძალიან ბევრი რამ უშლის ხელს. მისი თქმით, პირველი და უმთავრესი პრობლემა იმიჯია, რომელიც საკმაოდ შეგველახა.

„მეორე – ეს არის მაღალი ფასი – ჩვენი ცხვარი საკმაოდ ძვირია, რის გამოც კონკურენტუნარიანები არა ვართ. მოლდოვას მაგალითს მოგიყვანთ: ზოგჯერ იქ ცხვარი 2,5, მაქსიმუმ 3 დოლარი ღირს (ცოცხალი წონის მიხედვით), ჩვენ კი, მისი გაყიდვა 3 დოლარადაც გაგვიჭირდება. მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი ლოჯისტიკური პრობლემებია. ჩვენ რომ გვყავდეს ბაზირებული თვითმფრინავი, რომლითაც ცხვარს გადავიყვანდით, მისი ექსპორტზე გაყვანა ასე ძვირი აღარ დაგვიჯდებოდა. ერთი სიტყვით, უამრავი პრობლემა გვაქვს, მაგრამ მათ შორის მთავარი ქართული ცხვრის რეპუტაციის შელახვაა, რასაც ყველა უნდა მოვერიდოთ“, – აცხადებს გონაშვილი.

ხათუნა ჩიგოგიძე

სანთელი

რამაზ ფანცხავა

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი და ორგანიზატორი, დიდებული ოჯახის შვილი **რამაზ დავითის ძე ფანცხავა**.

რამაზ ფანცხავა დაიბადა 1931 წელს ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა მოსკოვის აკ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და მუშაობა დაიწყო ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად.

1956 წელს ჩაირიცხა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნებოდა ჩაის ფოთლის საკრეფი მობილური მანქანების ეფექტიან გამოყენებას.

რამაზ ფანცხავამ მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა საქართველოში ჩაის დარგის განვითარებას. მან გაიარა გზა რიგითი სპეციალისტიდან ხელმძღვანელ მუშაკამდე.სხვადასხვა დროს რამაზ ფანცხავა მუშაობდა მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს სახელმწიფო აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ – რესპუბლიკის მინისტრად. ბოლო წლებში იყო სს „ქართული ჩაის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ საპატიო თავმჯდომარე.

ბატონი რამაზის სახელთან დაკავშირებულია მეჩაიეობის ახალი ტექნოლოგიების, ხოლო ფოთლის კრებაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა, ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება.

ბატონი რამაზი იყო გამორჩეული მეუღლე, მამა და ბაბუა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ურთიერთობა მეგობრების ფართო წრესთან, რომელიც მისი უშრეტი იუმორის გამოვლინების საუკეთესო ასპარეზი იყო. ყველაფერ ამაში მისი უდიდესი მოწიწება და კეთილი განწყობა იგრძნობოდა.

დიდხანს დარჩება ბატონი რამაზის ხსოვნა მისი მეგობრების გულში, აგრეთვე იმ ადამიანებში, რომელთაც ერთხელ მაინც ჰქონიათ შეხება ბატონ რამაზთან.

მეგობრები

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, იგორ ქობალია, ლერი ჭითანავა, ვაჟა ფიფია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ფანცხავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ლეილა ბახბაიას ძმის

დემურ ბახბაიას

გარდაცვალების გამო.

ს/ს „დიდუბის ავტოვაგზლის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ს/ს „დიდუბის ავტოვაგზალის“ (ს/კოდი; 202050699) აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო 2015 წლის 11 ივნისს 12 საათზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების აუცილებლობასთან დაკავშირებით, გადადებულია და გაიმართება 2015 წლის 19 ივნისს 12 საათზე. აქციონერთა მორიგი საერთო კრება შედგება მისამართზე: ქ. თბილისი, კარალეთის ქ. №4.

დღის წესრიგი:

1. დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის ანგარიში;
2. მოგების განაწილება;
3. საზოგადოების წესდების რედაქციის დამტკიცება;
4. საზოგადოების აქციონერის ვ. ჭოლაძის მიერ მისი კუთვნილი აქციების გასხვისება.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებები მიიღონ საზოგადოების დირეტორატში. ის საკითხები, რომლებიც წერილობით იქნება დაყენებული 2015 წლის 9 ივნისამდე, შეტანილი იქნება დღის წესრიგში და განხილული იქნება კრების მიერ. კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ აქციონერებს, რომლებიც 2015 წლის 25 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი ს/ს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გ. №74ა.

საზოგადოების დირექტორატი

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84.

◎ სულიერება

მამადავითობა თბილისში

28 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მამადავითობას თბილისში, ასევე იხსენიებს მის მოწაფეს ლუკიანეს.

ცნობილია, რომ დავით გარეჯელი ნათესავი იყო იოანე ზედაზნელისა. იოანე ზედაზნელის 12 მოწაფემ სამონასტრო ცხოვრება დაამკვიდრა ქალწულ ნინოს მიერ მოქცეულ საქართველოში. ეს ის მონასტერია, სადაც ყოველი წლის 20 მაისს ზედაზნის მონასტერში მლოცველები სასწაულის მოწმენი ხდებიან. ამ დღეს ტაძრის კედლები მთლიანად იცვარება და წმინდა წყალი გადმოდის, ხოლო დავითი იმ 12 რჩეულთაგანი იყო, რომელთაც ზედაზნელთან ერთად ქართლში წამოსვლა ხვდათ წილად.



თავდაპირველად მამა დავითმა სამოღვაწეოდ თბილისი აირჩია, ბერ ლუკიანესთან ერთად.

ბერებმა თბილისის დასავლეთით, მთის ფერდობზე, აირჩიეს გამოქვაბულში ცხოვრება.

წმინდა მამებთან უამრავი ხალხი მოდიოდა აღსარებისთვის.

მამა დავითის ლოცვით მისი გამოქვაბულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა, ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე განიკურნა უშვილობისაგან.

მამა დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ შეებღალათ მისი სახელი. თბილისი იმ დროს სპარსელებს ეკავათ და მოგვები ხედავდნენ ბერის სიყვარულს ხალხის მიერ, ამიტომ მათ დასწამეს მრუშობა ერთ მეძავთან. უფლის შეწევნით მამა დავითმა ამხილა ცილისმწამებლები.

აღშფოთებულმა ხალხმა ცბიერი დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. ამ ამბის შემდეგ გულგატეხილმა ღირსმა მამა დავითმა დატოვა თბილისი. მან ხალხისგან მოშორებით, გარეჯის უდაბნოში ისურვა დამკვიდრება.

საგულისხმოა, რომ დავით გარეჯის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი „მადლის ქვა“ ინახება სიონის საკათედრო ტაძარში.

შეგვეწიოს დღევანდელი დღის წმინდანის მადლი სრულიად საქართველოს!

გიული ლიპარტია

◎ იზა ჯაჭვაძე – 70

მიტოვებულ სოფელთა დარდის მესაიდუმლე

მთიდან მოდის მისი ფესვები, მთაშია მისი სული, მთაა მისი საფიქრალი და საპატრონები. ამიტომაცაა, რომ ეს ნიავქალი (პოეტთა საძმომ სიყვარულით რომ შეარქვა იზა ჯაჭვაძეს) მთაზე ფიქრში ათენ-აღამებს. ფშავი, ხევსურეთი გამხდარა მისი სადარდელი, დაცლილი სოფლები, მხოლოდ ქარისა და არწივთა სამფლობელოდ რომ ქცეულა საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე.



მისთვის ხომ არაფერია 70 წელი, არც გვებევრება ის ორმოცი წელი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, რომ ეფერები დაწყებული „ნობათში“ გამოქვეყნებული პირველი ლექსიდან და მოსული დღემდე – საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტამდე, მწერალთა კავშირის წევრობამდე, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძისა და გაბრიელ ჯაბუშანურის პრემიებამდე. მისთვის ყველაზე დიდი პრემია და ჯილდო იმ ფშაველთა და ხევსურთა ძმობა, ფიცვერცხლიანობა და ღიმილია, რომელნიც ჯერ კიდევ შემორჩენილან მთას და რომელთაც ეიმედებათ იზა ჯაჭვაძე. პუბლიცისტური ნარკვევებით, მთისათვის საკადრის ლექსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეხმიანებოდა და ეხმიანება იმათ სატკივარს, რკინის ქალამნებამოცმული ჩვენი ფშაველი დაიკო მუდამ მათი სატკივრით ცოცხლობს და ახსენებს ძლიერთა ამა ქვეყნისათ, რომ მთაა საქართველოს გადამრჩენი.

მართლაც გულში ჩამწვდომია ჩვენო იზა, შენი სცენარებით გადაღებული სატელევიზიო ფილმები „სტორის ხეობა“, „პანკისელი ქისტები“, „ჭიჭაკვის ხეობაში“, პუბლიცისტური კრებულები „მიყვარხარ, მთაო ტიალო“, „მთაში დაისის შემოდის ფერი“, „ნისლივით მთასა ვკიდივარ“ და სხვა.

ვუსურვებთ პოეტსა და კოლეგას ბედნიერებას, ჯანის სიმრთელეს. კიდევ დიდხანს მდგარიყოს თავისი ერთგულებითა და გამტანობით, თავისი საქმითა და კალმით მშობელი მიწისა და ხალხის კეთილდღეობისთვის. ჩვენს მილოცვას კი შესანიშნავი პოეტის ალაზა ხაიაურის ქალბატონ იზასადმი მიძღვნილი ლექსიდან ერთი სტროფით დავამთავრებთ:

გაქვს ენერგია მთების მდინარის –
სული რჩეული, – გული გრძნეული,
და ქალბატონი კიდევ ვინ არის
იყოს მფლობელი ამ განძეულის?!
იხარე, ჩვენო იზავ!

შენი კოლეგების სახელით
მამუკა ვაშაკიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

ყნოსვა ღალატზეა პასუხისმგებელი

კაცობრიობა მივიდა ურთიერთობათა მონოგამურ ფორმასთან ყნოსვის ნაწილობრივი დაკარგვის გამო, გამოარკვიეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა.

მათ დაადგინეს პირდაპირი დამოკიდებულება პოლიგამიისადმი მიდრეკილებასა და სუნისადმი მგრძნობელობის დონეს შორის. ანთროპოლოგები ამტკიცებენ, რომ ასეთ კანონზომიერებას აქვს ისტორიამდელი ფესვები. 20 მილიონი წლის წინათ ჩვენი წინაპრები ცხოველთა მსგავსად ცდილობდნენ მიეზიდათ სექსუალური პარტნიორები რიტუალური მოძრაობებისა და სუნის ხარჯზე. მრავალსაფეხურიანი ევოლუციის პროცესში ქცევის სისტემა შეიცვალა. ადამიანებს უკვე რცხვენოდათ თავიანთი ბუნებრივი სუნისა, ცდილობდნენ მოეშორებინათ იგი თავიდან წყლის, საპნისა და პარფიუმერული კოსმეტიკის დახმარებით.

რომელიღაც მომენტში ხალხი უბრალოდ გადაეჩვია გაერჩია ერთმანეთისგან გარკვეული სუნი – ფერომონები, რომლებიც ოდესღაც სტიმულს აძლევდნენ სქესობრივ აღგზნებას და საუბრობდნენ დაწყვილებისაკენ მზადყოფნის შესახებ. ამის გამო უფრო მარტივი გახდა არ დავემორჩილოთ ინსტინქტებს და შეგნებულად შევინახოთ პარტნიორისადმი ერთგულება.

ხანდაზმულებისთვის სიცილი სასარგებლოა

სიცილი სასარგებლოა ხანდაზმული ადამიანების ტვინისთვის, დაადგინეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ადრე სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხანდაზმული ადამიანების ტვინის საქმიანობის გაუარესება ხდება ორგანიზმზე სტრესის გავლენით. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სტრესის ჰორმონი კორტიზოლი თავის ტვინში აზიანებს გარკვეულ ნეირონებს, რის შედეგადაც მეხსიერება და სწავლის უნარი უარესდება.

ექსპერიმენტის დროს ხანდაზმული მონაწილეები დაყვეს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს შესთავაზეს ეყურებინათ 20-წუთიანი ვიდეოსთვის, რომელიც სიცილს იწვევდა, მეორე ჯგუფი კი ამ ვიდეოს არ უყურებდა. ამის შემდეგ ექსპერიმენტის ყველა მონაწილემ გაიარა ტესტირება, რომელიც განსაზღვრავდა კოგნიტური უნარის დონეს. პირველი ჯგუფიდან ადამიანების ტესტირების შედეგები აღმოჩნდა უკეთესი მეორე ჯგუფთან შედარებით. სპეციალისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სასაცილო ვიდეოს ყურების შემდეგ კორტიზოლის ოდენობა სისხლში შემცირდა, მეხსიერება და ყურადღება კი გაუმჯობესდა.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ:** 599 168 171; 598 51 81 35.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 599 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

შაქრო ცოლთან ერთად მეზობელ სოფელში ქორწილში აპირებს გადასვლას, გზა კი ტყეზე გადის. უცბად გულგახეთქილი მაშო შემორბის აქოშინებული:

– გაიგე-ე, შაქრო, მშიერ დათვსა ჩვენ ტყეში ორი კაცი შეუჭამია! ვეღარ წავსულვართ ქორწილში და ეგ არის!

– რას ამბობ, დედაკაცო, დროზე ჩაიცვი, თუ წასვლაა, ახლა უნდა წავიდეთ, სანამ დათვი მაძღარია, თორემ მერე რომ მოშივდება, მართლა შარია!..

* * *

ქორწილში გახურებული ქეიფია, კაი გვარიანად შეზარხოშებული ფოტოგრაფი კითხულობს:

– აბა, სად არის ჩვენი ბედნიერი წყვილი?

შექეიფიანებული სიძე თითს იშვერს:

– დაბრმავდი, შე კაცო, აგერ, ვერა ხედავ – პატარძალი და დედამისი როგორ გუგულებივით სხედან?!.

* * *

ცოლი ებუზღუნება ქმარს:

– რა სულელი ვიყავი, რა უჭკუო! ამდენი თაყვანისმცემელი მყავდა, ხელის მთხოვნელთა ჯარი მყავდა, მე კი ყველა უარით გავისტუმრე!

– ჩემს მშობლებს რა ვუთხარი, იმ ჯარიდან მე რომ დამიხსნეს!

* * *

პოლიციას შუა ხნის ქალბატონი მიმართავს:

– ჩემი ქმარი დაიკარგა, შეიძლება განცხადება შემოვიტანო?

– რამდენი ხანია, რაც დაიკარგა?

– თითქმის ერთი თვეა.

– კი მაგრამ, ან აქამდე რატომ არ განაცხადეთ, ან ახლა რატომ მოხვედით ჩვენთან?

– იცით, ორი დღეში ხელფასი აქვს ასაღები, ჰოდა, მეც უკვე ნერვიულობას ვიწყებ!..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24